“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე



# ლიტერატურული მესხეთი

№9 (261)
სექტემბერი
2020 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეორე წელი "LITERATURULI MESKHETI"

# „მე, რუსთველი ხელობითა...“

## რუსთაველის ნეშტი

მგოსანო საქართველოსავ,
წამოიხედე ზეზედა,
იხილე შენი სამშობლო,
მიმოიარე მზეზედა.
შენი ერისა ჭაბუკნი
გიამბორებენ ხელზედა;
მართლდება შენი ნათქვამი
ათასზე განა ერთზედა?

თავისუფლდება მონები,
შენ გულს რომ გჭირდა წყლულადა;
ნეხვთა და ვარდთაც ლამის რომ
მზე მოეფინოს სწორადა;
აღარ ვართ გუშინდელები,
ვიქცენით ერთი-ორადა;
წამოგვეზარდნენ ჭაბუკნი,
ჰნახო, სცნობ არწივ-ქორადა!
თავს სწირვენ ნესტანისათვის
ტარიელივით ლომადა.
და ივერიის დიდებას
ხალხს აუბნებენ შორადა.
აღვსდეგით, ცამდე ავმაღლდით
ნათქვამნი ჩასაქოლადა.

თუ არ წამოხვალ, მანდ მოვლენ;
დღემდის ბევრებსაც ჰნახავდი.
ვიცი, რომ გიამებოდა,
გულს ვარდად დაისახავდი
სახესა ვაჟკაცებისას.
მიიღე, როგორც შვილები,
თავ-დადებულნი ქვეყნისთვის,
შენი სამშობლოს გმირები.
აკურთხე შენის მარჯვენით
ეგ მარგალიტის ღილები,
სამშობლოს მკერდით აჭრილნი,
მისთვის დამწვარი ცვილები.

ვაჟა-ფშაველა



„მიჯნურობა არის ტურფა,
საცოდნელად ძნელი გვარი;
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი:
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი,
ნუვინ გარევთ ერთმანეთსა, გესმას ჩემი ნაუბარი“

რუსთაველი



„მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში, თვით გვიან შუა საუკუნეებამდე, ძნელია მოიძებნოს სხვა ნაწარმოები, რომელშიც ადამიანის ფსიქიკა გახსნილი იყოს ნიუანსების ასეთი სიმდიდრით, სიღრმითა და სირთულით. და, ამასთანავე, იშვიათად შევხვდებით ქმნილებას, რომლის ავტორი ესოდენ თავდავიწყებით იყოს აღტაცებული, ტკბებოდეს ადამიანის სახისა და ტანის, მთელი მისი ფიზიკური არსების სილამაზით. რუსთაველის ჰოემაში ადამიანის სილამაზის ნამდვილ კულტს ვხედავთ.“

ირაკლი აბაშიძე

# დავით ახლოური



***

აიშლებიან
სულში ფიქრები,
წყალი წაიღებს
ტივტივებს...
ერთხელაც, ალბათ,
აღარ ვიქნები...
შენ იქნები და
მიტირებ...

მოვა ზამთარი
ისევ კენტი და
ისევ შეხვედრის
ლოდინში...
იქ რა გითხრა და...
აქ რომ მეტკინა –
იმ ცრემლებისთვის
ბ ო დ ი შ ი!

***

თუ კაცი სულით
მგელი არა ხარ,
თუ ვერ შეგყარეს
„ხორველა",
უნდა მოხვიდე
ურცის ბალახად,
მაგრამ ნუ მოხვალ
ცხოველად...

წესი წესია,
მზე რომ გამწირავს,
ხატს შემოსავენ
შავებით...
მე დავბრუნდები
მერე არწივად,
რადგან არ მიყვარს
ყვავები...

ჩემს მერე,
როცა ქსანზე ჩაივლი,
როცა გადიფრენს
შველი კორდს...
სადმე თუ შეგხვდა
უცხო ყვავილი,
ვინ იცის -
იქნებ მე ვიყო...

## ქსნის ხეობას

ველარ ვიშუშებ ჩემი
წყალ-ჭალის ნატყვიარს,
მინდა დავბრუნდე,
მაგრამ გზა ჯერაც არ ჩანს...
იქ დედაჩემის ნაფეხურები ატყვია,
იქ საფლავების ცივი ლოდინი დარჩა.

ვფურცლავ დღიურებს
– ატირებულებს ბალღივით,
ისევ ვინახავ
ქსანზე მოწყვეტილ ყვავილს...
დავეხეტები ხიზნის მანტიით დაღლილი
და მონატრება გულში ხარივით ბღავის!

## მავთულხლართები

ჩვენ მოვყვებოდით იესოს გვერდით,
ხშირად გვიწყობდა ბედი გამოცდას,
სიყვარულზე და ძმობაზე ვწერდით
რუსთველის ხელით „ვეფხისტყაოსანს"...

ძმობით იცნობდნენ კარდუს ნართებიც
და ვერ შეგვიცვლის ეს დრო ნათებას...
შემოგვრჩებიან მავთულხლართები
სამუზეუმო ექსპონატებად.

***

წავალ ცხინვალში,
ერთხელ კიდევ
გვერდით ჩავუვლი
ჩვენს დამწვარ სახლებს,
დამწვარ სკოლებს,
დაღლილ იმედებს...
შემხვდება ვინმე,
ვერ შეაკრთობს ,,დანაშაული"...
და ღვთის გულისთვის
ქართულ სიტყვას
გამოიმეტებს...
წავალ ცხინვალში,
ჯერ ხომ ისევ
დიდია რწმენა,
რწმენა, რომ
დღესაც გველოდება
დედის ხელები...
უნდა იმძლავროს
ილიას და აკაკის ენამ,
წავალ ცხინვალში,
ქართულ სიტყვას
შ ე ვ ე შ ვ ე ლ ე ბ ი!

***

მოდიო, – სოფლიდან მეძახის ბავშვობა,
მივდივარ, თვალებზე კიაფობს ცრემლი,
იქ, ალბათ, ვიღაცას მე ისევ ვახსოვარ,
იქ, ალბათ, ვიღაცა მე ისევ მელის...

მივდივარ, ჩემს სევდას არა აქვს ნაპირი,
დღეს, ალბათ, ბიჭებთან უგონოდ დავლევ
და მერე დავკოცნი ჟუჟუნა აპრილის
ატმის ყვავილებით ჩახატულ თვალებს.

***

ჩემი გზა-ბილიკი დარდია და,
ასჯერ გაცვეთილი სინანული,
როგორ წაგვიხდა და გატიალდა,
მტერს რომ შევატოვეთ – ი მამული...

აღარც ქარჩოხისკენ გავიხედეთ,
ველარც მოვიკითხეთ ძმა-მოყვრები.
გული მიეცემათ ა იმ ქედებს,
შენ თუ ახალგორში წამომყვები...

***

ბაღში ენძელები
ილვიძებენ,
გლოცავ
თოვლისფერი
ჭიქით და...
იცი? -
მენატრები სიგიჟემდე,
ზოგჯერ
ამ სიგიჟის იქითაც...

შენ კი
კეკლუცობ და მეურჩები,
თითქოს
სიყვარულის არ გჯერა,
მაგრამ
გულს თუ ერთხელ
შეუჩნდები,
მერე უნდა ჰყავდე
სასჯელად.

მიდი,
შეენთე და
ამითრთოლე,
ხშირად
ჩაგაბარებ გამოცდას,
რაკი
ნაბიჯები გაგიტოლე,
რაკი
სიყვარულზე წამომცდა...

ხედავ? -
ენძელები ილვიძებენ
ჩემი
თოვლისფერი ჭიქიდან...
ზოგჯერ მენატრები
სიგიჟემდე,
ზოგჯერ
ამ სიგიჟის იქითაც...

***

ალბათ გეტყოდნენ –
უშენობას
ვერაფრით ვუვლი...
რა დაადუმებს,
ოხერია
ენა უძვალო...

მოდი, ამ მთვარეს
ნუ წავართმევთ
ამოსვლის სურვილს,
მოდი, ერთმანეთს
ერთმანეთი
არ ავუკრძალოთ...

***

გუშინ შენზე ვსაუბრობდი
შემოდგომის წვიმებთან.
ვუამბე, რომ
ჩემი ხარ და
საყვარელი ვინმე ხარ...
წვიმას იქნებ არ ეჯერა
შენზე რომ ვოცნებობდი,
მაგრამ, იქ რომ ყოფილიყავ,
შემომეკოცნებოდი.
სახეს აგიფერმკრთალებდა
ეგ ქალური სიმორცხვე...
იცი? – გუშინ ღვთისმშობელთან
სიყვარულზე ვილოცე.
გუშინ ხატებს შევავედრე
ოცნებების ზედაშე,
მერე წვიმის
წვეთად შევრჩით
იმ სველ ქუჩებს
მე და შენ...

გუშინ შენზე ვსაუბრობდი
მთელი ღამე ხატებთან,
არ მეძინა
და ეს დილა
შენზე ფიქრში გათენდა...

## დღეს უეჭველი...

ჩემო ლამაზო,
ვერ ვიქნებით
დღესაც უბრები
და უეჭველი
სიყვარულზე
გესაუბრები...
დღეს მზე იქნება
გუშინდელზე
ცხელი და მწველი,
პირველ კოცნასაც
შეიფერებ
დღეს უეჭველი.
დღეს ჩემს მკლავებში
შვლის ნუკრივით
მინაბავ თვალებს
და შენს საწოლთან
მიგვაცილებს
ბებერი მთვარე,

მაგრამ მანამდე
მოვიპარავ
ბაღში იანებს,
მაგრამ მანამდე
ერთი გოგო
იეჭვიანებს,
სულ არ იჯავრებს,
რას იტყვიან,
თუნდაც გაებას
და უეჭველი
დამინიშნავს
დღესვე პაემანს...

***

ორმოცს უახლოვდები,
იქნებ ცოტა გადაცდი,
მაგრამ კი არ მშორდები,
სხვა მიყვარდეს, არ მაცდი...

არ გიცნობდი სულ ადრე,
ახლა უფრო ვივსები,
ხომ მოხვედი სულამდე
დახეული ჯინსებით.

არც ეს წლები გადარდებს
– მოდიან თუ მიდიან,
სიყვარული გადამდე
და ფეხებზე გკიდია

ასაკი და დროება შენიცა და ჩემიცა,
გახდა ამაოება
შენს გარეშე ჩემი ცა...

მთელ სამყაროდ იბევრე,
მოგდევს უფლის წყალობა...
ახლა უფრო იფერებ,
მე თუ მკითხავ, ქალობას...

ორმოცისაც იქნები...
მაგრამ რა დროს წლებია,
როცა შენზე ფიქრები
ისევ ჩემთან წვებიან...

***

მკათათვე იყო,
შეღამებამ
ქუჩას მიმაბა,
თითქოს ზეციდან
ჩამოვიდა
შოლტივით ქალი...
სკამზე ჩამოჯდა...
გაინაზა...
მზერა მინაბა...
გამიღიმა და
გამისწორა
ლოთივით თვალი...

მერე სიგარეტს
მოუკიდა,
მთვარეს გახედა,
შიშველი მკერდი
შეაგება
მიმქრალ ალიონს...
უცხო მდედრისკენ
გაიწია
გულმა თავხედმა
და ბაგეებმაც
ამოტყორცნეს:
ა ი, ქ ა ლ ი ო...

მკათათვე იყო...

***

გადაიარეს,
ამ წვიმებმაც
გადაიარეს,
წავლენ...
წამოვლენ...
მასველებენ
უკვე წლებია...

რა ეშველებათ
ფოთლებსა და
ადამიანებს,
ერთხელ წავლენ და
აღარასდროს
დაბრუნდებიან!..

# ანა-ქალთამზე სურმანიძე

## დაუსრულებელი ავტობიოგრაფია

ჰამაკში ვწევარ...
ვისვენებ და შევცქერი ზეცას...
ღმერთო!...
ზეცაში ფილმად ვნახე ჩემი წარსული...
ჩანასახიდან
(როს ჯერ კიდევ მუცელი მეცვა)
ვითვლი დროის ზრდას...
რა დრო გასულა...
დედამ იკივლა...
ტკივილისგან შეიძრა მიწა,
ტკიოდა ხორცი, ძარღვში ურჩად
მდინარე სისხლი...
და გავიხადე დედის მუცელი,
რომელშიც ცხრა თვე ჩემი ძმა იწვა...
და დედამიწას ვუთავაზე ორივე წიხლი...
მე დავემატე დედამიწას – ჩემივე აკვანს...
მოურიდებლად გავეხვიე ზეცის საფენში,
გავიზარდე და... ზეცას ჩემი სურვილი გაჰყვა,
ახლაც ამიტომ შემომცქერის ალბათ, სახეში.
მერე მინდოდა...
სულ მინდოდა უფალთან ყოფნა...

## მრჩეველი

– პოეტიაო, ლირიკოსი, ცინიზმით ამბობს:
სად გაგონილა ქალი იდგეს ლექსების მტვერში,
იდგეს და რაღაც სასაცილოს ჩორკნიდეს სიტყვებს,
წიგნებს, – რომელსაც აღარავინ, არა თუ ვერ შლის...
წადი, გათხოვდი, გაიჩინე ქმარი და შვილი,
ქალი ქალია, პოეტობა ან რა წესია,
მთელ სამყაროში, დამანახე, თუ ღმერთი გწამდეს,
რომელ ქვეყანას მოვლენია ქალი-მესია...
ასეა დღემდე...კაცი მუდამ მეტია ქალზე,
რა გენდერობის საპირწონე, რის სწორ-ტოლობა,
სად გაგონილა ქალის ძალა, ქალის მწევრვალი,
ან სად გინახავს ქალი სთხოვდეს ადამს ცოლობას?!...
ან პოეტობა?... ნუ მაცინებ, თუ ღმერთი გწამდეს...
ეს იგივეა - ნაცრით დაღლილს ექექო მტვერში,
მოცლილობისგან, უქმობისგან იგონებთ თვალღიბრს
და მერე გიკვირთ, რომ გიწოდებთ ვიღაცა შეშლილს..
და მერე გიკვირთ, რად გაგრიყათ ზოგადოებამ,
სხედხართ და მშრალად დასტირიხართ გლობალსიცივეს,
ვერ ეგუები, როცა ვინმე ხელს გაგიწოდებს
და გიკვირს მერე, თუ იგივე მისგან გიცილებს..
უცნაურობა?... ო, პოეტეს, თუ ღმერთი გწამდეს,
თვითონ არ იცი, რა გახარებს, ან რაღად წვიმხარ,
აი, სარკე და ჩაიხედე, ღვთის გულისათვის
და მიპასუხე, რამდენი დღის, რამდენი წლის ხარ...
...
ვუსმენდი თვალებაწურული მობრიყვო მრჩეველს,
მერე ძარღვებში ნიაგარას თხრიშინი ვიგრძენ..
მინდოდა ქალა ამეგლიჯა ჩემივ ხელებით –
ამომეხაპა ამ ტვინიდან უცნური სიბრძნე!...

და გააგრძელა... (რაკი სიტყვა არ ვუთხარ მაინც,
ალბათ, ეგონა, დაუჯდაო ჭკუაში „ჭკუა",
– გადამიშალე, პოეტესავ, წიგნის შუაში,
და ნუ აწვალებ მაგ კრებულის „პოეტურ ყუას".
გადიკისკისა აქვე, რაღაც ეშმაკურ ბრწ(ყინვით),
თვალმოწკურულმა შემომხედა თვალებში უცებ..
ერთხანს გაჩუმდა... დაკვირვებით ჩამხედა ისევ
და თვისი მზერა გაუჩერა თვისივე მუცელს...
...
მე კი მინდოდა მეღრიალა, მეყვირა ცამდე...
არტერია და სისხლძარღვები მექცია ხეთქვად,
ოღონდ არცერთი, სულ არცერთი ბწკარი თუ სიტყვა,
ოღონდ არცერთი, იმ წუთებში არ უნდა მეთქვა...

## მრჩეველს

ჩემო „მრჩეველო", ჩემო, ვითომ კეთილმოსურნევ,
შენმა გონებამ ჩემს გონებას ქერქი ახადა,
...მახსოვს, თუ სადმე შეგხვდებოდა ოდესმე წიგნი,
კანს ალილიდი და იყენებდი „მსუბუქ" ქაღალდად...
მახსოვს, რამდენჯერ გაგიცვალე წიგნი ქაღალდში,
პირისფარეშად დაკიდული, როცა ძარცვავდი,
ახლა კი ვითომ განსწავლულის პათოსით მიმტკიც,
რომ შენს სიმართლეს არ აკლია ერთი მარცვალიც,
რომ, თურმე, ქალის პოეტობა არ შემდგარია,
რომ, თურმე, ქალი დაეტიოს უნდა ჩარჩოში...
მაშ, რა ვქნა, თუ კი მცხელა მაშინ, როცა ყინვაა
და მაცახცახებს პოეზიის სიცხით გათოშილს!?
ან გენდერიზმი?! პოეზიამ რა იცის სქესი,
რა იცის ჩარჩო, წყობილება, კანონი, წესი,
ნაკარნახევით ვერ იცხოვრებს ვერა პოეტი...
თუმცა, ხშირია შარბათიდან მიაროვან ეესლი...
რაო, როგორ თქვი, პოეზია ნაცრის ქექვაა,
ან უარესი, – უქნარების ბოგინი მტვერში?!
მაშ, პოეზიას დედოფლები არასდროს ჰყავდა
და დიდმა ანამ. იზამ, ბელამ მოიჭირან პეშვი?!...
მაშ, დედოფალი უდიდეს მთებს, რომ ატირებდა,
დაღონებულ მთებს რომ შესცქეროდა თავადაც ღონით
„საქართველოო ლამაზო"-ს რომ ყოველი ამბობს,
ამბობს ლოცვებად, არა ერთხელ, უფრო გაძლომით...
და ამ ღრმა ცაზე სამკვიდრო რომ ვერავინ ნახა,
ვინც მტრად მოვიდა, ვინც გაბედა განრისხვა ღმერთის,
ან „საჩხაკუნო, აკვნებზე ბმულ ატმის კვირტები"
ვინც მოგვიტანა, ვინც ლექსებად აკინძა ღვენთი...
არ არსებობენ?!
პოეტები არ ჰქვიათ იმათ?!
ქალები იყვნენ, რადგან ლექსი იმათაც სწვიმდათ,
ასეა დღემდე, იცვლებიან თაობით მხოლოდ
და დღემდე ქალებს პოეზია ქმარივით ვვინდა!
და ბოლოს ერთის პასუხიც და მოვრჩები იქნებ..
„და მიპასუხე, რამდენი დღის, რამდენი წლის ხარ"...
რამდენი ლექსიც დაწერილა ქალისგან ოდეს,
ასზე გაყავი ოდენობა, მიიღებ მისხალს,


ნახ. რეზო ხითარიშვილისა

იმ სიმართლისას, რომელსაც შენ ვერასდროს დათვლი...
და მაინც, ამდენ „ღმერთი გწამდეს", რა პირით ამბობ,
მახსოვს, მოლებსაც დასცინოდი „ეზანის" ხმაზე
და ჩემს კედლებზე შეგროვებულ ხატების ალბომს...

„მშვიდობით, დიდხანს არაფერს მოგწერ...(თ)" ....

* * *

დავცარიელდი, გამოსახლდა გრძნობები ჩემგან
და უპატრონოდ მიტოვებულ ქოხს დავემსგავსე.
აღარ მაქვს ძალა და სურვილი ჭიდილის მტერთან,
ვერ კი გავიგე ჩემი გული რისთვისღა ფეთქავს?!

## ღმერთმა იცის

მე მიყვარს ღმერთი,
მიყვარს მისი ჩემდამი ნდობა
და ღმერთმა იცის თუ ვენდობი ნდობას სავსებით.

ქარიშხალია,
სიო ირჩევს ტრანსპარანტობას
ერთმანეთს ასე, ქაოსით და
ომით ავსებენ.

მიმოდიოდა
ფრონტის ხაზზე უფალი მშვიდად,
ქვიშის საათზე ახატავდა ისარს, განიერს,
თვალდახუჭული რიცხვებს წერდა, წერდა და შლიდა...
ამასობაში ქარიშხლებმაც გზები არიეს.

დიდდება ბუღი,
გზას აწყდება ქვიშის ნისლები...
ველარ ვენდობი საკუთარ თავს,
არათუ თვალებს,
ასე მგონია, უფლისგანაც სისხლად ვიცლები
და გუშინდელი სიცოცხლისთვის მოვითხოვ ხვალეს.
ქარი ჩადგება.
დამმარხავენ, –
ვალი მაქვს მიწის.
დაფნად მოვალ თუ ბროწეულად, –
ეს ღმერთმა იცის...

## ქარიშხლები

ქარიშხლები რომ წევბოდნენ გზებზე,
როცა ვარსკვლავთა ქვიშას ფარცხავდი,
როცა უდაბნოს ყვავილს დარდიანს,
გადაუკეტე ყველა სარწყავი...
არხი, ზღვები და ოაზისები,
ამოაშრე თუ ყელი გაუშრათ,
ნაკადულმა რომ ოკეანესთან
გაყოლა გთხოვა, რად არ გაუშვი?

## მწუხრის

მწუხრის მიჯნასთან,
გაიღიმე თუ შეგიძლია...
ამოიყვანე, ზღვის ქვაბიდან ერთი წველა მზე...

## მიტოვებული სოფელი

მიმობნეულა ტყემლის ბილიკი
შორს, მიტოვებულ სოფელში უხვევს...
ძრწიან ავსულნი უხმო ჯირითით,
კვამლივით ასდით დარდი ჭიუხებს.
სოფელი, – წყლისგან დაცლილი კოკა,
გაუკაცურდა, მოთქვამს და გოდებს,
ხახაგამშრალი თვისვე ცრემლს ლოკავს,
წელმოწყვეტილი ასკდება კბოდეს.
კივის სახლები, ბაღები, ეზო,
გულისმკორტნელი სიჩუმით კივის,
გაუმაძღარი ცხოვრებით, ეგზომ,
ახლა ხარხარი აგრძელებს ქილიკს.
ცრემლი გაუშრათ კედლებსაც, ხესაც,
არ ჰგუობს მიწას უბრალო ჩქამიც,
სიცარიელე ავ თვალებს კვესავს,
გდია სოფელი – უსულო გვამი.
დაუტირელი, უჭირისუფლო,
ძაძებმარხული გზები მაოცებს
და ვკვდები ტყემლის ბილიკებს შორის,
სიკვდილმისჯილთა სასაფლაოზე.

## მაინც

და მაინც ჰგვანან დღეები დღეებს,
ჰაერი გახმა, დაჭკნა ილი...
საკუთარ თავის ვიყავი მგზავრი,
გავხდი ჩემივე გადამთიელი.
ვერ გავუნასკვე თეთრი თასმები
დღეებს და დღემდე უთასმოდ რბიან,
მეგონა მზეის ამოსვლა ადრე,
თუმც გათენება ყოფილა გვიან...

## დე

მე რომ სანთელი მეგონა, მე რომ მეგონა მზე,
არც იწვის და არც ანთებს, ის არ ყოფილა დე...
პეშვებით ვინშენდ ნათქეშარ, ღვარებგაჩენილ გზებს,
მე რომ წვიმები მეგონა, ის არ ყოფილა დე...
მიწას ვასკდები ნისკარტით, ღადარს ვუმატებ მტვერს,
მე რომ სამშობლო მეგონა, აღარ მქონია დე...
ვაიმე, სკდება ნაპრალი, სიმუქე ახლავს დღეს,
დედი მომეცი ლამპარი, სინათლე მომე, დე...
ჰაერს გავაპობ სიმღერით, დილიდან საღამომდე
ცას შევსახლდები ვარსკვლავად,
ოღონდ გათენდეს დე...

## გაზაფხული შემოდის

გაზაფხულზე მაინც, ზოგჯერ,
გაყინულ გულს ვშველოდი,
კვლავ სიცივე მომეპარა
მე სიყვარულს ველოდი.
ქალაქს ლურჯი ლანდი აკრავს,
გაზაფხული შემოდის,
მან სიცივე მომიტანა,
მე კი სითბოს ველოდი.
ატამს გული გადაუხსნა,
ყვავილებით – წვეროდი,
უმადური ზამთრის მერე
გაზაფხული შემოდის.
მზეშ გაათბო დედამიწა,
მზეო, როგორ გელოდი,
შენ კი სხვისკენ იჭვრიტები,
ერთხელ ჩემთან შემოდი!

# თამარ შაიშმელაშვილი

## აგვისტო, მარიამობა

მიემშვენები, მზეო
დედაო,
შენი აგვისტო
თბილზე თბილია,
ცამ ზამბახები
დაიბევრაო...
ეს მიძინება
ველთნაფიქრია.

ეს დროდინება
ფერთა მმოსავი...
შეუცნობი და
დიდი გზის მხედვი...
და შენი სული –
თეთრი შროშანი
მარადიულად ყვავის
ძის ხელში.

## გარეჯო...

ქარი ვარ, ფრთებით გიცავ, გარეჯო,
რომ გაზაფხულზე მზეს შეგავედრო...

ამ სამოთხეში სისხლის წვეთია,
ეკლიან ღრუბლებს რად უწვეთიათ?

რად მგლოვიარობს კოშკი მდუმარე
და გულის ძახილს ვით იმდულარებს?

ვინ ამოშანთა მზერა მარიამს,
ცხონების ქედზე ავსიზმარია?

მოწვეთავს წყარო მადლის მახარე,
მაგრამ ცისთვალებს ველარ ახარებს...

ბინდის ნამგლებით მოდის ურჯულო,
ამ ბედშავ ჟამში ვინ მოარჯულოს?

მხოლოდ ქარნია! მეც ფრთებით გიცავ,
რომ შემოვევლო შენს მართალ მიწას...

***

***ჩირდილის ტბა თურქეთში, ერუშეთში, აპრილშიც გაყინული დაგვხვდა...***

აპრილის ქალაქი მაკალთუნი,
ჩირდილის ტბა და ენძელები,
ყინული მზეზე აკვართული,
მომენატრები და მეძნელები...
სად ღმერთს უთესია ოქროყანა,
ლურჯი ოცნებებით მოჩითული...
თეთრი ქვა-ლოდები როგორ ჰგვანან
ოდეს აქ დარჩენილ მოციქულებს...
ჟამის მდუმარება უსაზღვროა,
ახლა ამ ნანგრევებს ქარი ჰზვერავს,
სევდას, უპატრონოდ მოზღვავებულს,
მიაქვს მენახირის მკვდარი მზერა...
როგორ ჩანავლულა დიდება და
რისხვა უძველესი ეთიუნის...
უცებ ტალღებიდან აფრინდება
გუნდი თოლიების, ზღვთიური.
ირგვლივ ჩრდილებია, ბიბლიური
მთები გაზაფხულზე იზრდებიან...
იქნებ ეს სამოთხე მიღმიური
თოვლით თამარ-მეფის მზითევია?
ყინული მზეზე აკვართული,
ჩირდილის ტბასთან – ენძელები...
მხვდება ქალაქი მაკალთუნი,
ლურჯ-ნატვრისფერი შემღერებით...

## ზღვაზე

აქ შენს სახილველად მოვედი,
ჩემი მონატრების მგონები...

ტალღებო, სურვილებს ავყევი,
ღელვაარეკლილი სამღერით.

სევდავერგაუშლელ მზეს ველი
და ჰორიზონტები შევხსენი...

სად ბილიკებია ულევი,
ზეცამოწკრიალე გულები...

შენი ნაბიჯები ვიცანი,
ციმციმ მოკამარე ნიჟარით...

როგორც გაუთქმელი სათქმელი,
ზღვაა უსიტყვო და სხვა ფერი...

აქ შენს სახილველად მოვედი,
ჩემი სიყვარულის მგონები...

## ორი მთვარე

ჩემი სიზმარი ორი მთვარეა,
თბილშემოდგომის მზე და საათი...
დარდი ფოთლებით მომთაბარეა,
შენ გამოგიხმობ აქ მასლაათით...
ფოთოლცვენაში დრო გაჩერდება,
თვალის ჩეროში აპრილებს ვმალავ,
და ჯერგაუშლელ ვარდის ჩვენებას,
შორს მორიჟრაჟე ირეკლავს ბანა...
შორს მირაჟი და მონატრებაა,
იქ, ნანგრევებში მღერის ოპიზა,
და გაზაფხულებს ცის ნამტვრევებად
ფოთლების ქიმზე შენთვის მოვზიდავ...
და ნატვრისთვალებს ელვის ღელვებით
მოამდინარებს ქარი გიჟმაჟი...
იმ მარადისში ვერ შეგელევი...
ამ მარადისში მრჩები სიზმარში...
და როგორც ნისლში მათრობს ყინწვისი,
მინდა, რომ სევდას მთვარე ავუნთო...
ხელისგულიდან დილის ნამს გიწვდი...
გიორგობის სხივს შენკენ გზას ვუთბობ...



ნახ. რეზო ხითარიშვილისა

# ეთერ გიგიბერია-კაჭახიძე

## ისევ აქ არის

დაცვარულ მინდვრებს მზე ათინათებს,
ღიაა თეთრად ტაძრის კარები.
სამრეკლოს თავზე დაფრინავს მტრედი,
რეკენ და რეკენ დედოზარები...
მიხმობს და მიწვევს,
ო, გული ბორგავს...
მთვლემარე სულში ბუდობს ავაზა,
მეძინა დიდხანს ლამაზ სიზმრებთან...
ღმერთო, მიშველე! შენით ავად ვარ...
სიყვარულს შენსას არვის არ ვკითხავ,
შენა ხარ ჩემი რწმენის ტაძარი...
მოხვედ აქამდის ჩემო მარტვილო,
შენი ქართველი ისევ აქ არის.

## სინანული

მე გავემიჯნე შენს სასუფეველს,
დავადე რიდე ფარჩებს, გალიებს...
ისე, უბრალოდ, მომინდა წასვლა,
ეს დღე წუთებმა როგორ დალიეს? ...
თან მომყვებიან მოგონებები,
იასამნების სურნელთან ერთად ...
არ მომეკარო
ძველო სიზმრებო,
მივეშურები ჩემს გრძნეულ დებთან.
გეძებ და გეძებ, ვერ გხედავ ვერსად,
ტორტმანებს ირგვლივ შენი ლანდები ...
ეჰ, სინანულის ნაღველი ღვენთავს,
ნელ-ნელა იწვის თეთრი სანთლები...

## ვარძია

იქ, სადაც ღაღადებს ქვათა სიბრძნე
და მეფობს დუმილი გრანიტის,
მოვა საუკუნე ახალი დიდების,
თაყვანით ანთებული კვარივით.
წამით შედგება, ემთხვევა პიტალოს,
სევდა შეუჩნდება ალივით...
შეხედავს გაოცებით,
გადარევს ჩვენება
თამარის ლამაზი ტანივით.

## ზღვა

აქ ყველგან სიშიშვლეა...
შიშველია გამჭვირვალე ცაც,
სიმხურვალე ზანტად თვლემს
გაძარცვილ სხეულზე,
ნელ- ნელა იგრაგნება ზღვა.
იწვის ტანი კაბის ტყვეობაში...
და ხსნას ლამობს...
აქ ყველასთვის სულ ერთია სხვა...
მინდა ზღვა,
მთელი მისი უნაპირო დასასრულით;
და კოლხური თვალებით,
მის სილურჯეს აფთარივით ვსვამ...
მე ზღვა მიყვარს!...
მიყვარს მე ზღვა...

# თინათინ მრელაშვილი

## კვლავ გვაჩუქოს რუსთაველი

შოთას ჩანგმა მზისქვეშეთში
სიბრძნის სხივი გააჟღერა,
საქართველო მსოფლიოში
უკვდავყო და აამღერა.
მისმა ლექსმა შეაჯერა
მაღლით ზეცა თუ მთა-ველი,
ზენაარის შველა მჯერა,
კვლავ გვაჩუქოს რუსთაველი.

## ვერასდროს დავივიწყებ

ისე, ვით ველს აათრთოლებს იის ნაზი სურნელი,
მომეძალა მეც ტრფობა, ტრფობა განუკურნელი...
თვალს როგორც კი მოვხუჭავ, სხივდები ჩემს ხატებად, –
და... ის ჩვენი შეხვედრა თვალწინ კვლავ მეხატება...
მთა-გორების სიმრავლე, მთას დაკიდული გზები...
მე თვალს ველარ გაცილებ და სიყვარულით ვთვრები...
მსურს, რომ წუთით შეჩერდეს – დრო და წამთა ტრიალი,
მსურს ქვეყანამ გაიგოს გულთა ჩვენთა ტრფიალი...
გული განცდას ვერ იტევს, გული ტრფობით ცახცახებს,
მინდა, მუდამ ტყვედ ვყავდე, მაგ შენს მკლავთა არტახებს...
ცა ლურჯია სარკისებრ, მზით ელვარებს, კამკამებს,
ვერასდროს დავივიწყებ ამ წუთებს და ამ წამებს...
თან მდევს ანდამატივით ხიბლი ამ მთის, ამ გორის:
სიტკბო შემომრჩენია ტუჩთა შენთა ამბორის...

## როცა შენ გიმზერ...

**სონეტი**

ვიცი და მჯერა, როგორც მე შენ – ისე მომელტვი,
ვიცი და მჯერა – ჩვენს გულებში სიყვარულია...
მას ვერ-რა შეცვლი: სხვათა ტრფობა, მიეთ-მოეთი,
ამ სიყვარულთან სხვათა ლტოლვა განწირულია...
როცა შენ გიმზერ, გულში ასე ვარდი მაისობს,
მაგ თვალთა სითბო მზის სხივებით მოხატულია,
და წამთა სრბოლას შენსკენ გული მაინც თავისობს,–
შენი ალერსის, შენთან ყოფნის მონატრულია...
როცა ერთად ვართ, ჩემთვის მზე და გაზაფხულია,
თუ შენთან არ ვარ, ფიქრიც სევდით დაზაფრულია,
ვარ უსასოოდ, ის დღე ჩემთვის დაკარგულია,
მზეც აღარ მზეობს, მზეც ღრუბლებში მიმალულია...
მე სუნთქვად მიღირს: შენი ტრფობა – გულისგულია,
ამ გულის ნატვრა მხოლოდ შენი სიყვარულია...

## როდის მაჩუქებ, როდის?

თუნდ მაწყენინო, თუნდაც მაამო,
ყველა გზა შენსკენ მოდის,
ოცნებად მექცა ტრფობის საღამო,
როდის მაჩუქებ, როდის?
კაეშნით ბევრჯერ მავსებს საღამო,
დრო მიაქვს ფიქრს და ლოდინს,
ნატვრაში ერთად ვათენ-ვაღამებთ,
ცისკრის ნათებაც მოდის...
ცა მეწამული ფერს ღვრის მალამოდ,
მზისგან ნარინჯად რომ დის,
ერთად გვამყოფოს უფლის ძალამო,
არად მივიჩნევ ლოდინს...
თუნდ მაწყენინო, თუნდაც მაამო,
ყველა გზა შენსკენ მოდის,
ოცნებად მექცა ტრფობის საღამო,
როდის მაჩუქებ, როდის?!

## კახაბერ ჯაყელი

# ბოცო ჯაყელი და უფლისწულ დემნას აჩრდილი (ჯაყელთა 1000 წელი)

გაგრძელება. დასაწყ. NN6-8

***

მეტეხის სასახლის შიდა ეზოში რომ მოხვდა, ბოცო შეფიქრიანდა. გაიხედ-გამოიხედა და მიხვდა, რომ ქვის დიდი სასახლის ეს მხარე თითქმის მიტოვებულად დარჩენილიყო. – „ნეტავ სად არის, ახლა, უფლისწული? აქ არც მზარეულების ეზოა, არც თავლებია ცხენებით სავსე, არც პაჟები დადიან, არც აბჯარს არავინ ჭედავს და არც ხმლებს არავინ ფერავს, ნეტა რა ხდება, რატომ მიატოვა ხალხმა ეს დაწყევლილი ადგილი?“ – გაიფიქრა მან.

მართლაც დიდი, შავი სასახლე, უკაცრიელი გამხდარიყო. ბოცო მოტრიალდა, ციხესიმაგრეზეც არავინ იდგა, გოდოლები და ბლისკინები მეომართაგან დაცლილიყო. არათუ ციხესიმაგრე იყო მეციხოვნეების გარეშე, არამედ მასში ჩაშენებული გუმბათიანი ეკლესიაც გამოკეტილი დახვდა.

სასახლის ქონგურებზე ყვავებს მოჰკრა თვალი. ცაში, ალბათ, მათი შიშით მტრედებიც კი ვერ ბედავდნენ ლივლივს.

– ეს რა ხდება, კაცო? – ჩაილაპარაკა სამცხელმა და ახალციხური ჩვეულებისამებრ, ხელში მომცრო ქვა აიღო და სასახლის ყველაზე მაღალ კოშკს დაუმიზნა.

– აი, ყველაზე მაღალი, დედო-კოშკი, მანდ, ალბათ, ვინმე იქნება. ბაგრატიონთა სიმბოლოებს კი ვხედავ, კოშკზე გამოკვეთილს, მაგრამ ეგ მაინც ვერ შემაშინებს, ეს ქვა მინდა ვუთავაზო მის მთავარ სარკმელს. მინასაც ვამჩნევ, ჩავტეხავ და მერე მიყონ რაც უნდათ. ყველაზე უარესი ის იქნება, მემნას მუშტი მომხვდება, დასჯის ღირსი თუ ვიქენი, – თავის თავს ელაპარაკებოდა ბიჭი. ბოლოს გაჩერდა, ტუჩები კუშტად მომუწა და ქვა მთელი ძალით გასტყორცნა.

პირველივე ნატყორცნი ზუსტი აღმოჩნდა: – „აკი მეუბნებოდნენ, ხიფათიანი ხელი გაქვსო“! – გაახსენდა სამცხელს დედის ნათქვამი, როდესაც მაღალი კოშკის დიდი სარკმლის მინის ლეწვის ხმა შემოისმა და, როგორც ჩანს, კოშკში ყველაფერი ამოძრავდა, რადგან დამტვრეული შუშა, ვიღაცას თავზე დაეყარა და ეს ვიღაცა მწარედ ილანძღებოდა.

– ალბათ, ვინმე თუ მოვკალი, – წამოიყვირა ბიჭმა და მიმალვა სცადა, მაგრამ, უეცრად, ზევიდან დაჰყვირეს და თან საკმაოდ გაბრაზებული ტონითაც:

– შენ აქ ვინ შემოგიშვა, ბიჭო! როგორ ბედავ, ჩემს სარკმელს ქვა უთავაზო, ვინ ხარ და რა ჯურის ავაზაკი, რომ ამდენი გაბედე, დღისით, მზისით?

საბრალო ბოცომ სირცხვილი იგრძნო, ზევით აიხედა და, ჰოი საოცრებავ, ნაცნობი სახე დაინახა:

– უფლისწულო, უფლისწულო! – შენ გეძებდი, შენ!.. იყვირა ბოცომ.

– რაო, ავაზაკო, ვინ ვარო? – გაეცინა სარკმელიდან მომზირალ ყმაწვილს.

– თმა გაგზრდია, უფლისწულო, მაგრამ მაინც გიცანი! – შესძახა ბოცომ და სარკმლიდან მომზირალ უფლისწულს თვალი გაუშტერა.

– შენ ვინ ხარ? – ისევ ნაცნობი ხმა შემოესმა, რომელსაც ბოცო უფლისწულად უხმობდა.

– ვერ მიცანი, ტახტის მემკვიდრევ. ეს მე ვარ, მოჭიდავე ბოცო.

– ვინ? – იკითხა გაკვირვებულმა უფლისწულმა.

– ბოცო ვარ, ერისთავთერისთავის, მემნას ვაჟი, აღარ გახსოვართ? მე არ დაგეჭიდე მაშინ, ჩვენთან, თქვენი აღმატებულების სტუმრობის დროს, ცოტაც დამაკლდა, რომ წამექციე, მაგრამ მაღალი აღმოჩნდი და თავზე დამეცი. ეხლა კი მოვედი, რომ კიდევ ერთხელ გეჭიდავო.

– ოოო, ბოცო ჯაყელო, ეს შენ ხარ? – გადმოსძახა უფლისწულმა და უეცრად ატირდა. ბოცო გაოგდნა! არ იცოდა რა ექნა, მაგრამ უეცრად უფლისწულმა ჩამოსძახა:

– ამოდი, ამოდი, სამცხელო! აი მანდაა კარი, შემოაღე და ამოდი, კიდევ ერთხელ მინდა რომ გიხილო.

ბოცომ კარი შეაღო, სპირალისებურ კოშკის კიბეს აჰყვა და... კიდევ ერთი, მწვანე კარი შეაღო და მაღალი, წაბლისფერთმიანი, ჩამოძონძილ სამოსში გამოწყობილი, მხრებში მოხრილი და ფერმკრთალი ტახტის მემკვიდრე დემნა ბაგრატიონი დაინახა.

უფლისწული ისევ ტიროდა. ბოცო იდგა და უმზერდა ტახტის მემკვიდრის ტირილს. მის წინ პატარა, მოუვლელი, თმამოშვებული, ჩაუცმელი და მიტოვებული უფლისწული იდგა.

– რა მოუვიდა, უფლისწულს? – გაკვირვებას ვერ მალავდა ბოცო.

– ყველასაგან მიტოვებული ვარ, ამ სასახლეში, სამცხელო! არავის არა აქვს აქ შემოსვლის უფლება. არ ვიცი რა ხდება. კვირაში ერთხელ ბიძაჩემის კაცები მოდიან და საკვები მოაქვთ, შემდეგ ყველა ქრება და მარტო ვრჩები. ცხენიც კი არ მყავს, რომ სადმე გავაჭენო. ან ვინ გამიშვებს, ციხესიმაგრე გარედანაა ჩაკეტილი. ჰოდა ვზივარ ამ სასახლეში მარტოდმარტო. შენ კი, მართლა გმირი ხარ, რომ აქ შემოხვედი.

– მე გამომყევი და გაგიყვან აქედან, უფლისწულო, უთხრა ბოცომ.

– როგორ, ამ კედელს ვინ გადაახტება, ჩიტი ხომ არ ხარ, აქედან რომ გაფრინდე! – გაიცინა უფლისწულმა.

– მტკვრის ქვეშ ერთი გვირაბია, არაბებმა მასწავლეს. იქვე, სანაოსნო კარი ყოფილა. კარი რკინისაა, გავტეხოთ და შევიდეთ გვირაბში, უთხრა ბოცომ.

– მართლა პირველად მესმის, შენგან“, – სახე გაუნათდა უფლისწულს.



დემნა უფლისწული

– გაქვს რაიმე იარაღი სასახლეში? – დაინტერესდა ბოცო.

– როგორ არა, აი იმ დარბაზში, ბაგრატიონთა იარაღის საცავია. აბა, წავიდეთ.

– დაკეტილი ხომ არ იქნება? – უთხრა ბოცომ.

– არა, ჩემი აზრით, აქ ყველაფერი ღიაა. იარაღისა და საჭურჭლის დარბაზი კი იმიტომაა ღია, რომ ფიქრობენ, თამაშის დროს საკუთარ შუბს წამოვეგო და სული განვაცხო, – ჩაილაპარაკა უფლისწულმა.

– მართლა? – ბოცო გაკვირვებით მიაჩერდა ტახტის მემკვიდრეს, რომელსაც სახეზე მიწისფერმა დარდმა გადაჰკრა.

– აი, საჭურჭლეც. ავიღოთ რაიმე სატეხი – ბრძანა უფლისწულმა.

– ურო ავიღოთ, აქვე პატარა ვერძი ყოფილა, ესეც ჩავიტანოთ ეზოში და კარს დაურახუნოთ. აი კიდევ ჩაქუჩი და სატეხი, ამით ნაღდად გავაღებთ მტკვრის სანაოსნოს კარებს.

– სამცხელო, თუ ეგ მართლაც მტკვრის სანაოსნოს კარიბჭეა, ეხლა მესმის, რატომ არის აბჯართა შორის დიდი ნავი შენახული. აი, შეხედე, – თქვა უფლისწულმა და ბოცომ ზევით აიხედა, სააბჯროს მესამე თაროზე მიბმული გრძელი ხომალდი დალანდა.

– კი, ესაა მტკვრის გემი, ამირას დროინდელია, ამას ჩვენ ვერ ჩამოვხსნით, საკმაოდ მძიმე იქნება, თორემ ეს რომ ჩამოვხსნათ, შირვან-შახთან გავცურავთ, – გაიცინა ბოცომ და ბიჭებმა სააბჯრო ოთახი სასწრაფოდ დატოვეს.

– აი, აქ არის რკინის კარები, ეს უნდა შევტეხოთ. – ჩაილაპარაკა ბოცომ, როდესაც ისინი დიდ ვერძს მიათრევდნენ.

***

მემნა ჯაყელის სასახლეში დიდი აფორიაქებაა. მემაშხლეები ბოცოს ეძებდნენ. თავად ერისთავთერისთავი თავის მცველებს გულისყურით უსმენდა. ვინ ნახა ბოცო უკანასკნელად? დედა, სამძივართა ქალი, არ ტიროდა, იგი მხოლოდ ხატის წინ დაჩოქილიყო და ლოცულობდა. მემნა ერისთავი კარგად იცნობდა საკუთარ ვაჟს. ბოცო აქამდე სასახლეს არ გასცილებია. სწორედ ამიტომაც იყო საქმე საფრთხილო. თბილისი მაშინდელ აზიასა თუ ევროპაში, უკვე დიდი ქალაქი იყო. ამიტომაც ბავშვის დაკარგვა უამრავ ეჭვს აღძრავდა. მემნა ჯერ თავის პირად მტრებზე ფიქრობდა, შემდეგ კი სამძივართა მტრებზეც, მაგრამ ვერაფერი მნიშვნელოვანი ამ ფიქრმა ვერ მოიტანა. საჭირო გახდა ქალაქში გასვლა და მანდატურთ უხუცესის მონახულება, თუმცა სწორედ ეს არ სურდა მემნას, რადგანაც ადრე მანდატურთ-უხუცესის სახელმწიფო სახელოს მიელტვოდა და ეხლა როგორ ეთხოვა მოპაექრისათვის, შვილი მომიძებნეო. ამიტომაც ფეხს ითრევდა და სამცხელებს ქალაქის სხვადასხვა კუთხეში აგზავნიდა.

მაგრამ ყველაფერი კარგად დასრულდა მაშინ, როდესაც კარიბჭეში ბოცოს ადრიანად დაკაცებულივით, მხნე, ომახიანი, მაგრამ მაინც ბავშვური ხმა შემოესმა: – მამიი!

***

მემნა ჯაყელი შვილს სიხარულით მიეგება. მის გვერდით მაღალი ბიჭიც შენიშნა, მაგრამ ვერ შეიცნო, ვინმე გზირად ჩათვალა და შვილის ჩასახვევად რომ ხელი გაშალა, უცებ ბოცომ შეჰყვირა:

– მამა, რას სჩადიხარ? დაუჩოქე ეხლავე, საქართველოს ტახტის მემკვიდრეს, დემეტრეს!

მემნა და მის უკან, გულამოვარდნილი მარიამი გაოცებისაგან შედგნენ, მემაშხალეებმა მაშხალები დაანთეს. სამცხელთა სასახლის ეზო რომ განათდა, ყველამ მაშინ შეიცნო თუ ვინ იყო მაღალი, თმამოშვებული ვაჟი, რომელსაც შეუფერებელი ტანისამოსი ეცვა.

– უფლისწულო, ეს თქვენ ბრძანდებით? მაპატიეთ! – აღმოხდა მემნას.

– ეს რა მოგსვლიათ, გვაპატიეთ, შემობრძანდით! – ბრძანა მარიამ სამძივარმა და უფლისწულს დედობრივი ალერსით გადაეხვია.

დაჩოქილმა მემნამ იგრძნო, რომ უცნაურ მდგომარეობაში აღმოჩნდა სამცხელთა კარი და წამოდგა. შემდეგ დემნასთან მივიდა და მამაშვილურად გადაეხვია. დემნაც შვილივით მიენდო მემნა ჯაყელს და როდესაც სამცხელმა უფლისწულის თვალზე ცრემლი შეამჩნია, საგონებელში ჩავარდა.

სამცხელთა კარი გაოგნებული იდგა. ყველა თავის თავს და ახლო მყოფს ერთ კითხვას უსვამდა: – რა ხდება ბაგრატიონთა თავს?

***

გვიან გამოერკვა ფიქრებიდან.

შავშეთს დაბანაკებული თურქების ბანაკისკენ მიმავალ გზას მიუყვებოდნენ მესხები კვლავაც, 1187 წლის შემოდგომა იდგა. აბიათარ, იგივე აფთარ კოპაძე მიუძღვოდა რჩეულიანთ რაზმს, სამცხის სპასალარი ოდნავ შორიახლო მიჰყვებოდა მესხ მეომრებს. უეცრად წარსულზე ფიქრებმა სძლია:

მაშინ დემნა ბატონიშვილმა, – ორბელებთან შემახვედრეო! – სთხოვა მამაჩემს. მემნაც დაემორჩილა და იმ ღამეს ჩვენთან დიდი ორბელები მოვიდნენ, ისინი მამობრივი ალერსით გადაეხვივნენ ატირებულ უფლისწულს, მემნა ჯაყელი დაამშვიდეს, „აწი ჩვენ ვუპატრონებთ ტახტისმემკვიდრესო“ და თავისთან წაიყვანეს. შემდეგ, როგორც ჩანს, მეფე გიორგი III-თან მოლაპარაკება დაიწყეს.

– „აი ეს იყო მაშინ ჩვენი შეცდომა, არ უნდა გაგვეშვა საბრალო უფლისწული ორბელებთან, რომლებმაც მისით მეფესთან ვაჭრობა დაიწყეს. შემდეგ დემნას თავის ასული შერთეს და, თითქოს, მეფესთან ყველაფერი მოითათბირეს. გიორგი მეფე ორბელებს დაჰპირდა, როგორც კი რეგენტობის დრო გამივა და დემნა სრულწლოვანი გახდება, მაგას საკუთარი ხელით დავადგამ გვირგვინსო. მოტყუვდნენ ორბელები და დაეთანხმდნენ. დემნა თბილისში დააბრუნეს და ცხოვრება მშვიდობიანად განვითარდა მას შემდეგ“ – ამ ფიქრებში ჩაძირულიყო სამცხის სპასალარი.

აი ამის შემდეგ საბრალო უფლისწული არ მინახია, მე პირადად, მანამ, სანამ 1178 წელს აჯანყების ალამი არ ააფრიალა და მე, როგორც მისი სიყრმის მეგობარს, უსტარი არ მაახლა:

„გიხმობ, მეგობარო, ჩემს ბანაკში! – ატყობინებდა უფლისწული უსტარით.“

მერე რა ვქენი მე?“

მამაჩემის სიტყვები გამახსენდა: – „მუდამ მხარში უნდა ედგე მას“! სწორედ ამ სიტყვებმა გამოიწვია ჩვენი წასვლა დემნას ბანაკისაკენ. მივედით და დავდექით დემნასთან, მაგრამ უფლისწული ვერ გადავარჩინეთ! – ნერვიულობდა ბოცო. ამ დრო აბიათარ კოპაძეს შეხედა, რომელიც მზერას არ აცილებდა მას.

აბიათარი შეჩერდა და რაზმეულიც შედგა. კოპაძემ მოიხსნა მშვილდი, ააწყო სამიზნე, გაიხადა მოგდებული მოსასხამი და ხელთ იპყრო „მგლოსანი“ ფარი. რაზმეულმაც იგივე გაიმეორა.

„აქაა მტერი, სპასალარო!“ – თქვა კოპაძემ. რაზმეული ჩააჩოქა და თავად სპასალართან ერთად კლდის თხემისაკენ გაძუნძულდა.

გარემო რძისფერი ნისლით აივსო უეცრად. ნისლი ქარაფებიდან დაბლა ეშვებოდა. ამ დროს უნდა გამოყენება – ნისლში შევიდეთ, თქვა კოპაძემ და სპასალარის გვერდით ჩაიჩოქა.

***

შავშეთის მთავარ სოფელში შეიჭრნენ მესხნი. ნორგიალე ერქვა ამ ადგილს. უძველესი ადგილი წარღვნის დროს გადარჩენილი. „თავად ჩვენმა მამამ ნოემ ჩაუყარა საფუძველი ქალაქ ნორგიალეს, აქ ქალაქი იყო უწინ, ჩვენი მამის ნოეს ქალაქი“, – უყვებოდა მღვდელი სალუზაყანი ნორგიალეს ეკლესიის მრევლს უწინ. მაგრამ ეხლა იგი თავად იყო დაბორკილი და გაყიდვას უპირებდნენ, როგორც ჩანს, წყეული მომხვდურინი. შემოჭრილი თურქნი შამელნი იყვნენ, იცოდა მღვდელმა. შამი სირიაში ეგულებოდა და ვერ გაერკვია თუ რამ შეაწუხა თურქთა რაზმი, ამხელა გზის გადმოსაჭრელად. „თუ რბევა უნდოდათ, იქვე არ იყო სარბევი, აქ რაღაც სხვა ამბავია, ეს ის ხალხია, ვინც დასაზვერად გამოგზავნეს“! – ფიქრობდა სალუზაყანი და დალილავებული, ჩასისხლიანებული თვალებით ხანდახან ახედავდა ხოლმე მის წინ მიმავალ მრბეველს.

სოფლის ახალგაზრდები უკვე ოპიზის გზისკენ გაეყენებინათ თურქებს და გზა და გზა შოლტებსაც უტყლაშუნებდნენ საბრალოთ.

– „ახლა ჩვენც ამ გზას გაგვიყენებენ, ოპიზა აღებული აქვთ და იქ ეყოლებათ დიდი ლაშქარი!“ – გასძახა სალუზაყანს დიაკონმა იეზიკიელმა, რომელსაც შამელნი დიდ მორზე აბამდნენ, სხვა ტყვეებთან ერთად, თან დასცინოდნენ და მაჯების წინ გაწვდენას აიძულებდნენ, უფრო კარგად დასაბმელად.

– „არ დამოჩილდეთ, ხალხო, არ დამორჩილდეთ, მალე მოგვისწრებს მეფეთ-მეფე თამარის ლაშქარი!“ – გაჰყვიროდა დიაკონი იეზიკიელი და თვითონაც აქეთ-იქით ხტოდა, რომ შამელთათვის მისი დაბორკვა გაერთულებინა, მაგრამ ბოლოს მაგარი დარტყმა მიიღო რახტით ხელებში და ტკივილისაგან მორის ძირს დაეცა.

– „დიდი ჯარი ყავთ, იეზიკილ, დადუმდი ბიჭო, როდისღა მოგვისწრებს ქართლის ჯარი“ – ჭკუას არიგებდა იეზიკიელის სიმამრი ჯარასონი თავის დიაკვანს მაშინ, როცა შამელნი შედგნენ და უეცრად გამაყრუებელ ყვირილს მოჰყვნენ.

– „რა ხდება ნეტავ, რატომ ყვირიან ეს შავი მურთხები?“ – კითხულობდა მღვდელი სალუზაყანი და გაოცებული მისჩერებოდა შამელ თურქებს, რომლებიც სწრაფად გარბოდ-გამორბოდნენ და მწყობრად დადგომას ლამობდნენ ნორგიალეს მოედანზე.

– „ეტყობა, ჩვენები მოდიან!“ – იყვირა იეზიკიელმა და როდესაც ფეხზე კვლავ წამოდგა, იქვე მდგომ შამელს წიხლი იმგვარად ჩასცხო, რომ შამელი მოცელილივით დავარდა მის ფეხქვეშ. სხვა შამელნი მივარდნენ დიაკვანს, მაგრამ აქაც დიაკვანმა ივაჟკაცა და შემხვედრი წიხლი შეაგება ორივე მომხვდურს, ერთს ნიკაპში მოარტყა ფეხი და იქვე ჩაკეცა, ხოლო მეორემ იხელთა, ფეხი დაუჭირა და დიაკვანი მიწაზე მოაფორთხიალა, მაგრამ, ამ დროს, სხვა დაბორკილებმა წამოყვეს თავი და ერთ-ერთმა მათგანმა შამელ თურქს თავში მუშტი უთავაზა.

– „ჩვენები, ჩვენები მოდიან!“ – იყვირა იეზიკიელმა და მართლაც მოედანზე დაწყობილ შამელთა კოჰორტას, მგლისტყავიანების ასეულმა დაუწყო გარსშემორტყმა. „მგლოსანი ფარებით“ აღჭურვილმა მესხებმა შამელებს ერთი შეუძახეს, – დაგვნებდითო და არც კი ათხოვეს შემდეგ მათ პასუხს ყური, ისე დაუწყეს თავების სხეპა წინამბრძოლებს.

ბოცომ დაიმარტოხელა შამელთა ბელადი, ახოვანი, ტყავის აბჯარში გამოწყობილი სირიელი თურქი და ისეთი ძალით უთავაზა სპასალარის შვეტი მის ფარს, რომ ფარი ორად გადახია და ხელის მტევანი მიწაზე დააგდებინა.

აბიათარ კოპაძე სასწაულებს ახდენდა თავის მოლაშქრეებთან ერთად, – დაიხრებოდა, შევარდებოდა შამელთა მწყობრში, მანამ ურტყამდა აქეთ-იქით თავის ხრმალს გარშემო მყოფ შამელებს, სანამ ყველა ისინი საკუთარ სისხლში ამოგანგლულები არ დაეფინებოდნენ ნორგიალეს მიწაზე.

აირია შამელთა მწყობრი. ცხენოსნების საბრძოლველად გამოყენება ვერც მოასწრეს განთქმულმა თურქმა მეომრებმა, აირივ-დაირივნენ ერთმანეთში და დაიჩოქეს მესხთა წინაშე.

მესხები დაჩოქებულებს აღარ უტევდნენ, აბიათარ კოპაძემ შეწყვიტა ბრძოლა და დაჩოქებულები ნორგიალეს მოედანზე დააბორკინა ეხლა უკვე განთავისუფლებულ იეზიკიელს, სალუზაყანს და მისი მრევლის სხვა წევრებს.

– ნაწილ - ნაწილ ჯგუფ-ჯგუფად დაბორკეთ და ჯაყისაკენ გარეკეთ! – უბრძანა ათისთავებს აბიათარმა, თვითონ კი მიუტრიალდა ბოცო ჯაყელს, რომელიც ნორგიალეს განთავისუფლებულ მოსახლეობას რჩეულიანთან ერთად ოპიზისაკენ გალაშქრებას დაუყნებლივ სთხოვდა.

***გაგრძელება იქნება***

# რუსთაველი და ნიზამი

## (ეთიკური რეალიები)

ლია კარიჭაშვილი

შოთა რუსთაველმა და ნიზამი განჯელმა მთელი ეპოქა შექმნეს შუასაუკუნეების აღმოსავლურ (და არამხოლოდ აღმოსავლურ) მწერლობაში. მათ უდიდესი სიახლე მოაქვთ როგორც იდეური, ისე მხატვრულ-გამომსახველობითი თვალსაზრისით და მიმბაძველ-გამგრძელებელთა საუკუნოვან სკოლებსაც უდებენ დასაბამს.

XII საუკუნეში გააქტიურდა ლიტერატურული ურთიერთობა სპარსეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის. ქართული მწერლობა განიცდიდა სპარსულ-აზერბაიჯანული კულტურის ზემოქმედებას და, თავის მხრივ, გავლენას ახდენდა მასზე. „გზა ამ ურთიერთობისა სპარსულენოვანი პოეტური კულტურის ნაცნობობისა და ათვისებისა კი პირველ ყოვლისა შარვანზე გადიოდა“ (გვახარია 2001: 138). მჭიდრო სამწერლობო-კულტურული ურთიერთობები, ცხადია, განაპირობებდა საერთო მოტივებისა და ტენდენციების არსებობას ორივე ხალხის ლიტერატურაში. ამისი დასტურია თუნდაც ალექსანდრე გვახარიას ძალზე საინტერესო დაკვირვება ნიზამის „ბაჰრამ-გურის“ მეშვიდე ნოველასა და დავით გურამიშვილის პოემა „ქაცვია მწყემსს“ შორის. სიუჟეტური თანხვედრა და მთავარი იდეა ორივე თხზულებისა აშკარაა: ჭეშმარიტი სიყვარული წმინდაა და



ის ღვთისგან უნდა იყოს კურთხეული. მკვლევართა აზრით, ნიზამის ნოველის სიუჟეტი ფოლკლორული წარმოშობისაა. ეს შესაძლოა ყოფილიყო კავკასიელ ხალხებში გავრცელებული თქმულება. ალ. გვახარიას ვარაუდით, ამავე წყაროთი უსარგებლია დავით გურამიშვილსაც.

საერო მწერლობის საწყის ეტაპზე რომ უკვე არსებობდა ქართულად თარგმნილი სპარსული თხზულებები, ამ საკითხს საგანგებო ყურადღება მიაქციეს ნიკო მარმა, კორნელი კეკელიძემ, პავლე ინგოროყვამ, ალექსანდრე ბარამიძემ, დავით კობიძემ, დილარა ალიევამ და სხვებმა.

ამ ეპოქის ქართული მწერლობის ძეგლები ადასტურებს, რომ XII საუკუნეში ქართველი მკითხველი იცნობდა სპარსული ლიტერატურის რამდენიმე ნიმუშს: მეთერთმეტე საუკუნის ავტორის, ფახრ ალ-დინ ასად გორგანის პოემა „ვისრამიანს“, ნიზამი განჯელის პოემებს: „ლეილმაჯნუნიანს“, „ხოსროვი და შირინის“ და ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“.

შოთა რუსთაველი იხსენიებს „ვისრამიანისა“ და „ლეილმაჯნუნიანის“ მთავარ გმირებს:

*„მისნი ვერ გაძლნეს პატიჟნი ვერ კაენ,*
*ვერცა სალამან„(1340).*
*„იგი ჭირი არ უნახავს არ რამინს*
*და არცა ვისსა„(183),*

(ის ფაქტი, რომ რუსთაველი ნიზამის პოემა „ლეილმაჯნუნიანის“ პერსონაჟებს იცნობს, „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის თარიღის დადგენისთვისაც მნიშვნელოვანი გამოდგა. მკვლევარი ალ. ბარამიძე წერდა: „განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ უკვე ახსენებს ნიზამის პოემის „ლეილმეჯნუნიანის“ გმირებს (ხოლო ნიზამის პოემა დაწერილია 1188 წ.), ამასთან, „ვეფხისტყაოსანს“ არ იცნობენ მეხოტბენი და თამარის ისტორიკოსები. „ყოველივე აღნიშნული ცხადჰყოფს, რომ ვეფხისტყაოსანი შეთხზულია XII საუკუნის მიწურულში ან XIIIის დასაწყისში“ (ბარამიძე 1958: 32).

რუსთაველისა და ნიზამის შემოქმედებამ, ცხადია, ასახა ისტორიული რეალობა, ორი სხვადასხვა ხალხის ცხოვრება, ცნობიერება და მისწრაფებები. ეს ორი პოეტური სამყარო სხვადასხვა რელიგიურ-ფილოსოფიურ ნიადაგზეა ამოზრდილი, თუმცა მათი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა იმ ღირებულებებმა განაპირობა, რომლებიც არ ისაზღვრება ერთი კონკრეტული ერისა და ეთნოსის ჩარჩოებით და არც დროის სამანებით. ორივე შემოქმედის ეთიკური კონცეფცია ეყრდნობა ჰუმანიზმს და ისეთ ფასეულობებს, როგორებიცაა სიყვარული, მეგობრობა, სამართლიანობა, სიკეთე, ღირსება, თანაგრძნობა ... ამიტომაც რუსთაველისა და ნიზამის პოეტურ-კულტურულ სივრცეებს გადაკვეთის არაერთი წერტილი ეძებნება. მათი შედარებითი შესწავლა საყურადღებოა როგორც საერთო უნივერსალური, ისე ინდივიდუალურ-განმასხვავებელი ფაქტორების მიხედვით.

რუსთველოლოგიაში მიღებული თვალსაზრისით, რუსთაველის ეთიკური სისტემა ეყრდნობა ერთი მხრივ ეროვნულ ზნეობას, რომელიც არსებითად განმსჭვალულია ქრისტიანული მორალით, ხოლო, მეორე მხრივ, არისტოტელეს ნააზრევს ეთიკის პრობლემებზე.

რუსთაველის ეთიკური კრედო მჭიდრო კავშირშია ესთეტიკასთან. ზნეობრიობა, სულიერი ღირებულებები ამავე დროს ესთეტიკურია და მშვენიერების გამსაზღვრელ ფაქტორებად გვევლინება. მკვლევარი გიორგი ნადირაძე სწორედ ამ გარემოებას უსვამს ხაზს, როდესაც შენიშნავს, რომ პოემაში „მშვენიერია მხოლოდ ის, რაც ზნეობრივია“ (ნადირაძე 1958: 226).

ეთიკურისა და ესთეტიკურის მთლიანობის იდეით რუსთაველი, ცხადია, ეხმიანება არისტოტელეს დებულებას, სიკეთისა და მშვენიერების მთლიანობის შესახებ, ამავე დროს, იგი აგრძელებს სასულიერო მწერლობის ტენდენციას, რომლის მიხედვით - მშვენიერებას განსაზღვრავს სულიერი სათნოებანი.

რუსთაველის მხატვრულ სამყაროში ეთიკურია და ქცევათა გარკვეულ კოდექსს უკავშირდება სამიჯნურო, სარაინდო, მეგობრული და პატრონყმური ურთიერთობები. განსაზღვრულია პიროვნულ ღირსებათა მთელი სპექტრი: სიბრძნე, სიუხვე, სამართლიანობა, სიმამაცე, სიკეთე, ქველმოქმედება, თავმდაბლობა, შემწყნარებლობა და სხვა ... ეს ყოველივე ესთეტიკურიცაა. რუსთაველისთვის უპირველესად თვითონ ადამიანია ესთეტიკური ფენომენი.

რუსთაველის პერსონაჟები, ცხადია, მოქცეულნი არიან გარკვეულ პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ გარემოში, მაგრამ არსებითად მნიშვნელოვანია არა რომელიმე რეგალია და სოციალური სტატუსი, არამედ თვითონ პიროვნების რაობა (რაგვარობა). ამიტომაც შენიშნავს რევაზ სირაძე: „ვეფხისტყაოსნის ავტორი რაინდულ-კურტუაზიული კულტურის მატარებელიცაა, და შეიძლება ითქვას, ცერემონიალური კულტურისაც, მაგრამ მისი პერსონაჟების სახეთა რაობა არსებითად ვლინდება არა სამეფო კართა ატმოსფეროში, არამედ უშუალოდ ბუნების ფონზე, სამეფო პალატებიდან შორს, ცისქვეშეთში, სადაც ყოველგვარ აზრს კარგავს პიროვნებათა რეგალიები და რჩება მხოლოდ წმინდა კაცად–კაცური და ქალად–ქალური ღირსებანი, რჩება ის, რაც მათ მიანიჭა ღმერთმა და არა სამეფო კარმა“ (სირაძე 2000: 6).

სიკეთის გამარჯვების იდეაა პოემის სიუჟეტის წარმმართველი: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

რუსთაველის მთავარი პერსონაჟები მატერიალურად უმდიდრესნი და უძლიერესნი არიან, ისინი სიმდიდრეს იყენებენ ქველმოქმედებისთვის, ობოლთა და ქვრივთა შესაწევნად. არაერთ ეპიზოდში ვხედავთ მათ სიუხვეს, საბოძვარს, რომლითაც ავსებენ დიდსა თუ მცირეს, რაც მათი სიკეთის, მეფური ბუნების მიმანიშნებელია. პრინციპი – „რასაცა გასცემ შენია, რაც არა – დაკარგულია“, რომელსაც მეფე როსტევანი თავის ქალიშვილს უნერგავს, რეალურად მადლის მოპოვების ფორმულაა და გვახსენებს სახარებისეულ თეზას: *„ვინც სთქსა, მოიმკო და ვინც განაბნია გლახაკთათვის, შეკრიბა“.* ნიშანდობლივია, რომ ტარიელიც, ავთანდილიცა და ფრიდონიც იოლად თმობენ კეთილდღეობას, როდესაც ამას მოითხოვს სიყვარული, მეგობრობა, მოყვასის შეწევნა და სხვა. მათი სულიერი წონასწორობა განპირობებულია არა რომელიმე მატერიალური ფაქტორით, არამედ პირველ ყოვლისა, ღვთის რწმენითა და სასოებით, იმ ზნეობრივი პრინციპების შენარჩუნებით, ურომლისოდაც სიცოცხლე სიკვდილზე უარესია (*„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“*).

ცხადია, „ვეფხისტყაოსანში“ ჩანს, რომ ადამიანი რთული ფენომენია. ყველას თანაბრად არ ძალუძს გააცნობიეროს თავისი, როგორც ღვთის ხატის, უმთავრესი დანიშნულება ამქვეყნად, იფიქროს თვითსრულყოფაზე. ასეთ ადამიანთა უმთავრესი საზრუნავი მიწიერ ზრახვებს უკავშირდება, ასეთია, მაგალითად, არაბეთის „მექრთამე“ ვაზირი, გულანშაროს მკვიდრი უსენი, მეკობრენი და სხვა.

საყურადღებოა, რომ მაღალ სოციალურ ფენას, არისტოკრატიას, რომელიც, ამავე დროს, რაინდის სტატუსსაც უნდა ითავსებდეს, მოეთხოვება დაიცვას ზნეობრივი კოდექსი, იყოს ჰუმანური, კეთილი, სამართლიანი, მოწყალე და მთლიანობაში იმ ღირსებათა მატარებელი, რომლებიც ხაზს გაუსვამს მის შინაგან არისტოკრატიზმსაც.

პროლოგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთია მიჯნურობის კონცეფცია. პოეტი განარჩევს მიჯნურობის სხვადასხვა სახეს. პირველ მიჯნურობად რუსთაველი თვლის საზეო, საღვთო სიყვარულს. პოეტის სიტყვით, მიწიერი სიყვარულიც საღვთო მიჯნურობას ემსგავსება, თუკი ის წმინდაა. პროლოგშივე მოგვცა რუსთაველმა იდეალური მიჯნურის ზნეობრივი სახე, რომელსაც პოემაში შეასხა ხორცი:

*„მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს,*
*მართ ვითა მზეობა,*
*სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე,*
*სიყმე და მოცალეობა,*
*ენა, გონება, დათმობა,*
*მძლეთა მებრძოლოთა მძლეობა.*
*ვისაც ეს სრულად არა სჭირს,*
*აკლია მიჯნურს ზნეობა“.*
(23)

რუსთველური სიყვარული აწრთობს ნებისყოფას და აფაქიზებს ზნეობას, აძლევს ძალას ბოროტების დასამარცხებლად. სიყვარულის ძალამ შემუსრა ბოროტების სამეფო - ქაჯეთის ციხე.

ნიზამი, სპარსეთის რომანტიკული ეპოსის შეუდარებელი ოსტატი, როგორც ცნობილია, პოემებს ქმნიდა ხელისუფალთა შეკვეთითაც, თუმცა მან სიკვდილამდე შეინარჩუნა შემოქმედებითი თავისუფლება, რადგანაც ყოველთვის საკუთარი ფილოსოფიური და ეთიკური პრინციპებით ხელმძღვანელობდა. „შეჭამეთ ნაცარი, მაგრამ ნუ შეჭამთ ბოროტების პურს!“ - ეს სიტყვები ცხადყოფს, რომ ნიზამისთვის ღირსება და სიკეთე ყოველგვარ კეთილდღეობაზე მნიშვნელოვანია.

შოთა რუსთაველის მიერ „ლეილმაჯნუნიანის“ გმირების დასახელება მეტ საფუძველს აძლევს მკვლევარებს ისაუბრონ ამ ორი დიდი შემოქმედის საერთო მოტივებზე, როგორებიცაა მეგობრობა, სიყვარული, ჰუმანიზმი ... (ალიევა. 1958: 304-306). დილარა ალიევა სტატიაში - „Низами и Руставели о роли и назначении художественного слова“ - ასაბუთებს, რომ რუსთაველსა და ნიზამის მსგავსი ფილოსოფიური და ესთეტიკური პოზიციები ჰქონდათ. სტატიაში პარალელურად განხილულია „საიდუმლოებათა საგანძურის“ ერთი თავი და რუსთაველის პოემის „დასაწყისი“.

„საიდუმლოებათა საგანძური" (1179), დიდაქტიკური პოემა, კარგად ასახავს ნიზამის ფილოსოფიურ-რელიგიურ შეხედულებებს. შესავალში გამოკვეთილია პოეტიკურ-ესთეტიკური პრიცპები. სამეცნიერო ლიტერატურაში შესწავლილია ნიზამის პოემებისა და „ვეფხსიტყაოსნის“ პროლოგის ურთიერთმიმართება. მკვლევარი ინგა კალაძე შენიშნავს, რომ რუსთაველის პოემა პირველი თხზულებაა ნიზამის შემდეგ, რომლის პროლოგში ასე ვრცლად განიხილება „მიჯნურობის თეორია“.

მსგავსებას ხედავენ ორივე პოეტის პერსონაჟთა აღწერის მხატვრულ მეთოდშიც. ირინა კილაძე ნაშრომში - „პერსონაჟთა გარეგნული აღწერის პოეტიკა „ვეფხისტყაოსნისა“ და „ხოსროვშირინიანის“ მიხედვით“ - ცდილობს მხატვრული ენის შედარებითი ანალიზის საფუძველზე წარმოაჩინოს პოეტური მეტყველების მსგავსება-განსხვავებანი. ორივე თხზულებიდან წარმოდგენილია მასალა, რომელიც პერსონაჟთა აღწერა-დახასიათებისთვის არის გამოყენებული. მასალა ასეა დაჯგუფებული: 1. მიჯნურისათვის (ზოგადად); 2. სახისათვის; 3. ტანისათვის; 4. თვალებისათვის; 5. თმებისათვის; 6. ბაგე-კბილისათვის; 7. წარბ-წამწამისათვის. მკვლევარი ასკვნის, რომ მხატვრული სახეები მეტწილად ორივე პოემაში იდენტურია. თუმცა თვალსაჩინოა განსხვავებაც, რაც ორივე პოეტის ინდივიდუალურ მხატვრულ აზროვნებასა და მეტყველებას ადასტურებს (კილაძე 1993: 51-64).

გარეგნული მშვენიერება ნიზამის შემოქმედებაში, ისევე როგორც რუსთაველთან, ძირითადად პერსონაჟის შინაგან სიკეთეს, სულიერ სილამაზეს გამოხატავს.

სიყვარულია ნიზამის შემოქმედების უმთავრესი მოტივი, თუმცა მის პოემებში სიყვარული უმთავრესად მისტიკურ-სუფისტური ხასიათისაა („ხოსროვშირინიანი“, „ლეილმაჯნუნიანი“). სწორედ ეს განასხვავებს მას რუსთველური მიჯნურობისაგან, რომლის მიზანი ამქვეყნიური ბედნიერებით, ქორწინებით დაგვირგვინებაა.

ტარიელი აღმოსავლური ყაიდის მიჯნურია. მისი გამიჯნურების ამბავი და ველად გაჭრა მოგვაგონებს ყაისის გამიჯნურების გარემოებებს, მაგრამ ავთანდილის გამოჩენის შემდეგ ტარიელის შემდგომი თავგადასავალი ყაისის ხვედრისგან განსხვავებულია. *„ნიზამის პოემა არამიწიერი, ნეოპლატონური სიყვარულის აპოლოგიაა, იმ სიყვარულის ჰიმნია, რომელსაც სრულქმნა ამ ქვეყნად არ უწერია და რომლის ზეობისათვის პირადი არსობის დაკარგვაა აუცილებელი“* (მაგალი თოდუა).

მაჯნუნის მამა, ამაოდ ცდილობს ამქვეყნისკენ მოაბრუნოს შვილი, რომლის გონება მთლიანად დაუპყრია სიყვარულს. ეს ეპიზოდი გაგვახსენებს ავთანდილის საუბარს გონმიხდილ ტარიელთან („პოვნა ავთანდილისაგან დაბნედილის ტარიელისა“). ავთანდილი ცდილობს მეგობარი დააჯეროს, რომ მისი სასოწარკვეთილება არაგონივრულია, სჯობს გააზრებით, რაციონალურად მიუდგეს საქმეს და გამაგრდეს, ტანჯვა დაითმინოს:

*„თუ ბრძენი ხარ, ყოვლნი ბრძენნი*
*აპირებენ ამა პირსა:*
*ხამს მამაცი მამაცური, სჯობს,*
*რაზომცა ნელად ტირსა.*
*ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა,*
*ვით ქვითკირსა.*
*თავისისა ცნობისაგან ჩავარდების*
*კაცი ჭირსა“* (885).

ავთანდილი ახერხებს პასიური, უსასოო მდგომარეობიდან ტარიელის გამოყვანას, რაც შეუძლებელი ხდება მაჯნუნის შემთხვევაში.

ნიზამი განჯევის პერსონაჟთა შორის არიან უმაღლესი სოციალური წრის წარმომადგენლები, შაჰები: ხოსრო ანუშირვანი, ხოსრო ფარვიზი, ბაჰრამ–გური და სხვანი, ასევე რიგითი ადამიანები – მწყემსი, მხატვარი, ქვისმთლელი და სხვანი. ნიზამისთვის მიუღებელია დესპოტიზმი და ხელისუფალთა თვითნებობა; იგი ებრძვის ბოროტებას, სიძულვილს, ფარისევლობას და თვალთმაქცობას, პატივს სცემს პატიოსან, ზნეობრივ ადამიანებს. ნიზამის შემოქმედება ცხადყოფს მის ეთიკურ მრწამსს: ადამიანის ღირსება იზომება არა მისი სიმდიდრით, არამედ საქმეებით. ნიზამის შემოქმედების უმთავრესი მოტივია წმინდა, თავდაუზოგავი სიყვარული, რომელიც ყველაფრის მიზეზი და საწყისია. ადამიანი, მისი სულიერი სამყარო, დამოკიდებულებები ღმერთთან და მოყვასთან, მისი ღირებულებები - ესაა ნიზამის, ისევე როგორც რუსთაველის, უმთავრესი საფიქრალი.

უნდა აღინიშნოს ქალ პერსონაჟთა ტიპები რუსთაველისა და ნიზამის შემოქმედებაში. ამ საკითხზე ყურადღება გაამახვილა დილარა ალიევამ, რომლის აზრით, ნუშაბე და თინათინი, შირინი და ნესტან-დარეჯანი, ფიტნე და ასმათი ... ერთი მხრივ, ავტორთა შემოქმედების ნაყოფნი არიან, მეორე მხრივ - აღორძინების ეპოქისათვის ნიშანდობლივი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გავლენით შექმნილნი. ქალისადმი ერთნაირი დამოკიდებულება იკითხება



რუსთაველის აფორიზმსა – „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“ – და ნიზამის ტაეპში: „შენ თუ ხვადი ხარ, მე ძუ ვიქნები, რა ბედენაა მოპაექრე ლომებისათვის!“ „ნიზამი და რუსთაველი ერთნაირი პატივისცემითა და მოწიწებით ეკიდებიან ქალებს, ხოლო მათი მოსაზრებანი და შეხედულებანი დაფუძნებულია ქალის როლის სწორ გაგებაზე როგორც ოჯახში, ასევე საზოგადოებაში“ (ალიევა 1983: 151-155).

ადამიანის ბუნების ღრმა ცოდნითა და გულწრფელობით არის დაწერილი „განა მართლა ლომი ვიყავ“, რომლის ლირიკული გმირი თავად პოეტია. ამავე ლექსში აღწერილია ადამიანის ცხოვრების ეტაპები ღრმა სიბერემდე, მთავარი კი ერთია:

*„გინდა ერთი დღე იცოცხლე,*
*გინდა ას წელს გაუძელი,*
*გული მაინც ამ სოფლიდან*
*არ გაგყვება დაუწველი!“*
(მაგალი თოდუას თარგმანი)

ცხადია, გაგვახსენდება რუსთაველის დამოკიდებულება ცრუ, მუხთალი, ბინდისგვარი სოფლისადმი,

სამართლიანობისთვის ბრძოლისა და ღირსების დაცვისაკენ მოწოდებაა ნიზამის ლექსი „თავი არ უნდა დაიჩაგრო“. ის ეთიკურ-მორალური პრობლემა, რომელიც ამ ლექსშია წამოჭრილი ზოგადადამიანურია და ყველა ეპოქისთვის აქტუალური.

ნიზამი განჯელის კონცეფციით, გზა ადამიანის ზნეობრივი სრულყოფილებისაკენ არის საზოგადოების და, ზოგადად, კაცობრიობის მომავლის ორიენტირი, რადგან თავად ადამიანია უმაღლესი ღირებულება ამ სამყაროში. ნიზამის შემოქმედების მკვლევარი ჯამალ მუსტაფაევი წერს: „Низами считал, что человек является самым высшим, самым совершенным и самым ценным из всех существ. Свои размышления по этому поводу Низами отразил, в частности, в поэме „Сокровищница тайн“, посвятив этому специальный раздел. о превосходстве человека над животными. По мнению поэта-мыслителя, человек своей разумНостью превосходит все живое и неживое. Человек, говорил Низами, по своей природе и добр, и чист, и. пробный камень, и золото, и ценитель золота“, поэтому человек должен гордиться своим высоким назначением. Человек родится не для зла, а для добра. Стало быть, надо, чтобы человек служил добру, развивал в себе добрые и благородные качества“ (Мустафаев 1962: 126).

იმავეს თქმა შეიძლება რუსთაველის შესახებაც, რომელმაც ადამიანი დააყენა სამყაროს ცენტრში. მის ძლიერებას, მშვენიერებას, გონიერებას და კეთილშობილებას შეასხა ხოტბა. რუსთაველის ანთროპოლოგია ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზე დგას, თუმცა რელიგიური სხვაობა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ხელს არ უშლის ორ დიდ შემოქმედს იყვნენ თანამოაზრენი იმ ფუნდამენტურ საკითხებში, რომლებიც თავიანთი ხასიათით ზოგადსაკაცობრიოა და ადამიანის ზნეობრივ სრულყოფას ისახავს მიზნად.

თამაზ ჩიქვაიძე

# დიდი რუსთველის ბიოგრაფიის საკითხისათვის

ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ძველი დოკუმენტები, სადაც რუსთაველის სახელი ,,შოთა“ გვხვდება, არის პალესტინის ჯვრის მონასტრის აღაპთა წიგნი და მონასტრის ერთ-ერთი სვეტის წარწერა. პირველში წერია: ,,ამასვე ორშაბათსა აღაპი შოთაისა მეჭურჭლეთუხუცესისაი“. მონასტრის სვეტის წარწერა კი ასეთია: ,,ამის დამხატავსა შოთას შეუნდვენეს ღმერთმან, ამინ“.

აღაპთა წიგნის წარწერაც და სვეტის წარწერაც გაკეთებულია XIII საუკუნის I მეოთხედში. ორივეში კონკრეტულად ,,ვეფხისტყაოსნის“ ავტორი იგულისხმება.

სახელი ,,შოთა“ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში საკმოდ გავრცელებული ყოფილა. მარტო ისტორიული და ეპიგრაფიკული საბუთებით XII-XIII საუკუნეებში ცნობილია ამ სახელის მქონე 8 პიროვნება. ამათგან ორი მესხეთის მკვიდრი ჩანს. ზარზმის მონასტრის წარწერაში მოხსენიებულია ხურსიძე შიო ,,შოთა ყოფილი“ და ქვაბისხევის ბაზილიკის ფრესკაზე გამოსახული ,,შოთა“.

პირველი ლიტერატურული ძეგლი, სადაც მინიშნება არის ,,ვეფხისტყაოსნის“ ავტორის სახელზე, ესაა XVI საუკუნის დასაწყისში სადგერის ეკლესიის დეკანოზის სვიმიონ შოთასძის (ანუ შოთაშვილის) მიერ ლექსად დაწერილი ანდერძი. ეს ანდერძი აღმოაჩინეს და გამოაქვეყნეს 1941 წელს პროფ. ილია აბულაძემ და ქრისტინე შარაშიძემ. გვარი შოთასძე (შოთაშვილი) რომ სახელ შოთადან მომდინარეობს, ამას მტკიცება არ სჭირდება. დეკანოზი სვიმიონი თავმოწონებით ლაპარაკობს თავის გვარზე. ამის ერთი მიზეზი ისაა, რომ შოთას ძენი სადგერის ეკლესიაში არსებული წმინდა გიორგის ნაწილიანი ჯვრის მცველნი და მხლებელნი ყოფილან, ხოლო თვითონ მას ოქროთი და ვერცხლით მოუჭედია ეს სასწაულმოქმედი ჯვარი. დეკანოზ სვიმიონ შოთასძეს დიდი ამაგი დაუდვია სადგერის წმ. გიორგის ეკლესიისათვის. იგი ყოფილა ხუთი დიდი საქმის აღმასრულებელი. თავის ძმასთან ერთად აუგია კარიბჭე ტაძრისა, მოუჭედია სამთხვეველი, გაუმყარებია ძველი ხატი, მოუჭედია წმ. გიორგის ნაწილიანი ჯვარი, მოუჭედია წმინდა გიორგის ხატიც. ამ საქმეთა აღსრულებაში მისთვის დიდი მატერიალური შეწევნა აღმოუჩენია ათაბაგთა სახლს:

*,,რაცა მქონდა მოვახმარე, არ სპილენძი გავატყავე, მოვახსენე და პატრონმან ყუარყუარეცა დამრთო ნება, მან მიბრძანა, ამ ხატისა მოჭედა და გადიდება. ხატმან მისცა მტერთა ზედა, ძლევა დიდად გამარჯვება, ყოველთა ჟამთა შეეწევის მასცა მისი მეოხება.*

*მე სვიმიონ დეკანოზმან გავათავე დანაპირი, დღივ და ღამით ვიგონებდი, არა მქონდა ღამით ძილი, ამ ტაძრისა სამსახურით არა მქონდა გული ძვირი, რაჟამს აღვასრულე იგი განმინათლდა ნათლად ჩრდილი“.*

ეს სადგერის ვერცხლის ჯვარი დეკანოზ სვიმიონ შოთაძის შეკვეთით მოუჭედია XVI საუკუნის პირველ ნახევარში სახელგანთქმულ მამნე ოქრომჭედელს.

ამ ჯვარის მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში და სვიმიონ შოთაძის ანდერძი და დედააზრიც, გასაგები გახდა რუსთველოლოგ რიმა ფირცხალაიშვილის სპეციალური გამოკვლევის შემდეგ. *,,ახალი მასალები შოთა რუსთაველის ბიოგრაფიისათვის“ (თბილისი, 1987წ)*. მან მოიძია და მეცნიერულად გააანალიზა ყველა ცნობა, როგორც წმინდა გიორგის ჯვრის, ისე შოთასძეთა გვარის შესახებ. აღმოჩნდა, რომ ჯვარი ყოფილა ქართველ მეფეთა ,,წინამძღვარი“, ანუ სეფე ჯვარი (სამეფო ჯვარი). წინამძღვარი ომსა და ნადირობაში. მეფეთა წინამძღვარი ჯვარი, ისევე როგორც კარის ხატი, ერთადერთი იყო. ისინი სამეფო ხელისუფლების სიმბოლურ ნიშნებს წარმოადგენენ. წმინდა გიორგის ნაწილიანი ,,წინამძღვარი“ ჯვრის მუდმივ მხლებელსა და მცველ დეკანოზს სეფე ჯვარის მტვირთველი ერქვა, ხოლო კარის ხატის მხლებელს კარის დეკანოზი ეწოდებოდა.

ჯვარისმტვირთველობა საქართველოს ისტორიაში დიდად საპატიო, მაღალი რანგის სასულიერო თანამდებობად მოჩანს. განსაკუთრებით თვალსაჩინო ყოფილა ჯვარისმტვირთველის თანამდებობრივი და პიროვნული სახე XII-XIII საუკუნეებში. XIII საუკუნის ძეგლი ,,კურთხევა მირონისა და განგება დარბაზობისა“, გვამცნობს, რომ სამეფო დარბაზობის დროს სეფე ჯვარისმტვირთველს ათაბაგსა და სპასალარს შუა მართებდა ჯდომა. საყურადღებოა ისიც, რომ სეფე ჯვარის მხლებლობა და დაცვა ევალებოდა არა მხოლოდ ერთ კაცს, არამედ მთელ გვარს და სწორედ ასეთი მცველი და მხლებელი ყოფილა საუკუნეთა მანძილზე შოთასძეთა საგვარეულო.

სეფე ჯვარის საბრძანისი სხვადასხვა დროს ყოფილა ყორანთის (ბოლნისში), ატოცის (შიდა ქართლი), წნისისა და სადგერის (სამცხეს), ჩხარის (იმერეთში) ეკლესიებში. შოთაძეებიც თან დაყვებოდნენ მას.

რუსთველოლოგი რიმა ფირცხალაიშვილი შეეცადა ისტორიული წყაროების მოშველიებით შეესწავლა შოთას ძეთა გვარის ისტორია. საქართველოს ცენტრალურ არქივში მან მიაკვლია მეფე ლუარსაბ პირველის 1558 წელს გაცემულ სიგელს, განჩინების წიგნს, რომელიც მეფეს უბოძებია მოდავე ამბროსი მიქაძის და ქაბულ თორელისათვის. სიგელში სრულიად გარკვევით აღნიშნულია, რომ საქმე მოდავე ჯვარისმტვირთველთ ეხება.

აი ეს საბუთიც:

,,განაჩენით განუახლეთ ჩვენ მეფეთ მეფემან ლუარსაბ ამას ზედ რომელ ჯვარისმტვირთველნი კარისა ჩვენისა შეისარლენ მიქაძე ამბროსი და თორელი ქაბულ. თორელმა იჩივლა, ბოლნისთა საყსადრო და მემალობის სარგო საერთო არისო. ამაზე მიქაძემ ძუელთა მეფეთა სიგელნი წარმოადგინა, რომელ საკუთარი მისი იყო. აგრეთვე დიდმა მნათობმა კათალიკოსმა ზებედემ უწამა გუჯართ განრჩევით და გამოძიებით. ამისათვის ჩვენ ესრეთ დაუმტკიცეთ ყოველ საჯვარისმტვირთველო სარგო საერთოდ ედვასთ და ბოლნისთა ათეულ საკუთრად მიქაძე ამბროსი დეკანოზისთვის დაგვიც, რადგან ძველადვე ესრედ განწესებულ ჩვენც აგრეთვე დაგვიმტკიცებია და ეგრედმცა ჰგიან უცვალებლად ყოველთა შემდგომთა მეფეთა და მეპატრონეთაგან დამტკიცდა“.

რიმა ფირცხალაიშვილი თვლის, რომ ეს დოკუმენტი რამდენიმე უმნიშვნელოვანეს ფაქტს ხსნის და ადასტურებს, რომ საქმე სწორედ სეფე ჯვარისმტვირთელთ შეეხება. იგი აღნიშნავს:

,,ცხადია, ჯვარისმტვირთველნი კარის ჩვენისა“ სწორედ სამეფო კარის, ანუ სეფე ჯვარისმტვირთველებს გულისხმობს, მაგრამ საბუთში დასახელებულია ორი სხვადასხვა გვარის წარმომადგენელნი. საბედნიეროდ, საბუთში სავსებით გარკვევითაა აღნიშნული და დასაბუთებულიცაა, რომ მიქაძე ამბროსი საკუთრივ ბოლნისელი მოღვაწეა, დეკანოზი ,,ბოლნისებისა“.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ სეფეჯვარისმტვირთველებად ეტაპობრივად იწოდებოდნენ იმ ტაძრის დეკანოზებიც, სადაც, შესაბამის პერიოდში, სეფე ჯვარი განისვენებდა, ხოლო ერთ-ერთი განსასვენებელი ადგილი სეფე ჯვრისა იყო ყორანთაც (ბოლნისი). ამბროსი მიქაძე, ცხადია, სეფე ჯვარისმტვირთველია, როგორც დეკანოზი ,,ბოლნისებისა“ (ე.ი. ყორანთისაც), სადაც, როგორც ჩანს, იმ პერიოდში, სეფე ჯვარი იყო მისვენებული.

ცხადია, ამბროსი მიქაძე არაა ის ჯვარისმტვირთველი, რომელიც ,,თან წამებათ“ დაჰყვება ჯვარს. ასევე, ცხადია, რომ ქაბულ თორელი ჯვარისმტვირთველია როგორც დეკანოზი, საკუთრივ ჯვარისა და არა როგორც დეკანოზი ,,ბოლნისებისა“.

ამგვარად, XVI საუკუნის შუა წლებში (1558წ) სეფე ჯვარისმტვირთველია ქაბულ თორელი. ჯვარის განსასვენებელი ტაძრის (ბოლნისების) სახით კი ამბროსი მიქაძე. ამავე დროს ჩვენ უეჭველად ვიცით, რომ საკუთრივ სეფე ჯვრის დეკანოზნი ,,დასაბამიდან“ იყვნენ სწორედ შოთასძენი. ისინი წმინდა გიორგის ნაწილიანი ჯვრის მხლებლებად დარჩნენ მას შემდეგაც, რაც ამ ჯვარმა თავისი რეალური სახელმწიფოებრივი ფუნქცია დაკარგა და ისტორიულ სიმბოლოდ იქცა. სწორედ შოთასძეებმა მიიტანეს ეს ჯვარი ჩხარში, მის უკანასკნელ ადგილსამყოფელში, თავადაც მიჰყვნენ ჯვრის გზას და სამუდამოდ დაემკვიდრნენ იმერეთში. დასკვნა სრულიად ნათელია. ლუარსაბ მეფის სიგელმა წარმოაჩინა სეფე ჯვარისმტვირთველთა გვარი



და გახსნა შოთაძეთა გვარის საიდუმლოც. შტოებრივი წარმომავლობის გვარი შოთასძე, წარმოდგა თავისი თავდაპირველი სახით ,,თორელი“. სიგელის მონაცემებით უეჭველად ირკვევა თორელთა ერთი დღემდე უცნობი სახელიც - ჯვარისმტვირთველი. თორელთა საგვარეულო სახელთაგან სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია ამირსპასალარობა, მეჭურჭლეთუხუცესობა, მანდატურთუხუცესობა, მაგრამ არაფერია ცნობილი ჯვარისმტვირთველ თორელთა შესახებ. ახლა კი ირკვევა, რომ თორელნი ჯვარისმტვირთველთა სახელს ფლობდნენ XVI საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით. ამავე სიგელის ცნობით ნათელი ხდება თორელთა დღემდე უცნობი განშტოებაც - ,,შოთაძეები“.

ასეთია რუსთველოლოგ რიმა ფირცხალაიშვილის დასკვნები რუსთველის ბიოგრაფიის შესწავლის საქმეში.

1992 წელს გიორგი არაბულმა გამოაქვეყნა წიგნი ,,შოთა რუსთაველის ბიოგრაფია ქართულ მეცნიერებაში“. ნაშრომში დეტალურად არის გაანალიზებული დიდი რუსთაველის ბიოგრაფიის შესახებ არსებული ყველა მეცნიერული მოსაზრება.

ავტორის აზრით, ისტორიკოს ნოდარ შოშიაშვილის ნაშრომის ,,თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი“ და რუსთველოლოგ რიმა ფირცხალაიშვილის გამოკვლევების საფუძველზე დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ შოთა რუსთაველის ძირითადი გვარი თორელი იყო. თორელები კი წარმოშობით მესხები იყვნენ. რიმა ფირცხალაიშვილის გამოკვლევის შემდეგ უფრო ცხადად წარმოჩნდა თორელთა საგვარეულოს როლი საქართველოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მათ მიერ ერთგულებით აღსრულებულ სხვადასხვა სამსახურს (ერისთავობა, ამირსპასალარობა, მეჭურჭლეთუცესობა) სეფე ჯვარისიმტვირთველისა და მეფის მდივანმწიგნობრის საპატიო თანამდებობაც გვერდით დაუდგა, ხოლო თორელთა გვარისადმი შოთას კუთვნილების თეზისს, რაც მანამდე ადგილის (რუსთავის) მფლობელობის და მისი თანამდებობების (მეჭურჭლეთუხუცესობის) მიხედვით მტკიცდებოდა, მნიშვნელოვანი არგუმენტი მიემატა.

ამ სტატიით მინდა დეტალურად განვიხილო რიმა ფირცხალაიშვილის საინტერესო და მნიშვნელოვანი არგუმენტები დიდი რუსთველის ბიოგრაფიის შესწავლის საქმეში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მისი აზრით, 1558 წელს ლუარსაბ მეფის სიგელმა წარმოაჩინა სეფე ჯვარისმტვირთველის გვარი და შოთაძეთა გვარის სადაურობა, როგორც თორელთა ერთ-ერთი განშტოება. იგი სამართლიანად თვლის, რომ მეცნიერ-ისტორიკოსთა დასკვნები იმის შესახებ, რომ XIV საუკუნიდან თორელები აღარ იხსენიებიან, რა თქმა უნდა, სწორია. მართებულია შენიშვნა იმის თაობაზეც, რომ, რადგან თორელთა სახლის ძირითადმა შტომ XIV საუკუნიდან სახელწოდება შეიცვალა და ჯავახიშვილად იწოდა, თორელობამ დაკარგა თავისი რეალური შინაარსი. ამას რეალურად ადასტურებს შოთასძეთა გვარის ისტორია. XIV საუკუნეზე ადრე ისინი თავდაპირველი გვარით (თორელი) იწოდებოდნენ და არა შოთაძეებად. შოთასძეთა განშტოების გამოყოფა თორელთა გვარიდან თარიღობრივად იმ პერიოდს უკავშირდება, როცა გვარმა – თორელმა დაკარგა რეალური შინაარსი. აშკარაა XIV საუკუნიდან შოთაძეები აღარ იწოდებიან თორელებად. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია თორელთა განშტოებანი: ახალციხელები, ქვეშელები, ღობიარები, რუსთველები, ჯავახიშვილები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სადგერის კანკელის წინ დასადგმელი ჯვარი მამნე ოქრომჭედლის ყველაზე მნიშვნელოვანი ნამუშევარია. იგი ჩხარის ეკლესიაში უნახავს ცნობილ ისტორიკოსსა და გეოგრაფს ვახუშტი ბატონიშვილს. მისი ცნობიდან ირკვევა, რომ იგი პირველი იყო ყორანთას, შემდეგ გადაუტანიათ სამცხეში, იქიდან კი ატოცში და ბოლოს ჩხარში.

1978 წელს გამოქვეყნდა ამირან ჩხარტიშვილის წიგნი ,,მამნე ოქრომჭედელი“, სადაც ავტორმა დეტალურად განიხილა, ამ შესანიშნავი ხელოვანის შემოქმედება და გააკეთა შესაბამისი დასკვნები. იგი დაეყრდნო ქრ .შარაშიძის მიერ 1961 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ,,სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები XV-XVII სს“ დებულებებს და დაადგინა, რომ სადგერის ჯვრის წარწერებში მოხსენიებული სამცხის დიდებულები (ყვარყვარე ათაბაგი, სფირიდონ ბენაშვილი), XVI საუკუნეში ცხოვრობდნენ და ამით ნათელი შეიტანა ბევრ საკამათო საკითხში.

როგორც იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის 1529 წლის საბუთიდან ირკვევა, სადგერის ჯვრის მხლებელი დეკანოზი სვიმიონ შოთასძე ამ საბუთის გაცემის დროს უკვე იმერეთშია და მას, როგორც ჯვრის მხლებელს, მეფე ბაგრატი აძლევს სიგელს. ამრიგად, ჯვარი 1529 წელს მოჭედილი ყოფილა და ავტორის მტკიცებით, მისი მოჭედვის საორიენტაციო თარიღია 1522-23-29 წლები.

ამირან ჩხარტიშვილი ასევე აღნიშნავს, რომ ანგარიშგასაწევია პროფ. ტრ. რუხაძის ცნობა, რომ 1534 წელს იმერეთის მეფე ბაგრატ III და მისი მეუღლე ელენე, ძენი მათი გიორგი, თეიმურაზი და კონსტანტინე აძლევენ სიგელს შოთასძეებს. ამ სიგელით ჯვრის მხლებლებსა და მცველებს ჩხარში იმერთა მეფის სამსახური არ მართებთ.

ამრიგად, დადასტურებულია, რომ სადგერის ჯვარი 1529 წლიდან იმერეთშია (ჩხარის ეკლესიაში). აქ იგი ნახა ვახუშტი ბატონიშვილმა, 1650 წელს რუსმა ელჩებმა ტოლოჩონოვმა და იევლევმა, აკად. ექვთიმე თაყაიშვილმა. ამის შემდეგ იგი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაბინავდა.

ვფიქრობ, ლუარსაბ მეფის 1558 წლის სიგელში მოხსენიებული ბოლნისელი ჯვარისმტვირთველი ქაბულ თორელი სადგერის ჯვრის დამცველი და მხლებელი არაა, თუმცა დიდი რუსთველის თორელობის სადაურობას ბევრი არაფერი მოაკლდება.

# ღვთის სამსჯავრო

## რობერტ ბერიძე

ოდესღაც ერთ გადაკარგულ ქვეყანაში, მეფე ცხოვრობდა. ხარბი და გაუმაძღარი გახლდათ. ამასთან, უცნაური ზნეც სჭირდა. ბრმა იყო ღია თვალებით, ხედავდა და ვერც ვერაფერს ვერ ხედავდა, ესმოდა და არც არაფერი არ ესმოდა. სილამაზეს სიმახინჯედ აღიქვამდა, ღამეს – დღედ. ღატაკნი მდიდრად მიაჩნდა, მდიდარნი – ღატაკად. ბოროტი და ოქროსმოყვარე იყო ძალიან, რაც განსაკუთრებით ლახავდა მის მეფურ ღირსებას. სასახლის პალატები და სარდაფები სავსე ჰქონდა ოქრო-ვერცხლით, თვალმარგალიტით. საათობით იდგა იქ და ტკბებოდა მათი ხილვით.

დაუნდობელი იყო მეფე როგორც ახლობელთა, ასევე ხალხის მიმართ. გადასახადები დაუწესა მისალმებას, ბარისა და მთის ჰაერს, სიცილსაც, ტირილსაც, ტუალეტებსაც, ჭამის დროს კბილის ცვეთასაც.

დაყრუვდა ქვეყანა.

მეფე უშვილძირო გახლდათ. მარადიული ეჩვენებოდა წუთისოფელი. ეჭვიანობის გამო ტახტის ყველა მოსალოდნელი მემკვიდრე, – ახლობელი და შორეული ნათესავებიც კი, დედაბუდიანად ამოჟლიტა.

არავის ენდობოდა მეფე, გარდა ერთისა. ის ერთი კი სასახლის კარის მასხარა და წინასწარმეტყველად შერაცხული, მეფის მესაიდუმლე, ვეზირი გახლდათ. როგორც საკუთარი თავისა, ისე სჯეროდა მისი ყოველი სიტყვის.

მარადიულ სიცოცხლეს აღუთქვამდა ცრუ წინასწარმეტყველი მეფეს. უფრო მეტიც, მის ყოველ უზნეო საქციელს ხოტბა-დიდებას ასხამდა, მაგრამ გავიდა დრო და წუთისოფელმა თავისი ჰქნა. დაბერებულ-დაჩაჩანაკებული, განუკურნებელი სენით ლოგინს მიაჯაჭვა.

განწირულმა წინასწარმეტყველი იხმო.

– მოვკვდები?! – ჰკითხა.

შეცბა წინასწარმეტყველი, შეყოვნდა:

– არა!

– როგორ თუ არა, ხომ ხედავ, ვკვდები!

– არა, თქვენისთანა მდიდარ კაცს სიკვდილი არ გაეკარება!

– ეს როგორ?!

– მხოლოდ ოქრო და ღვთის განგება დაგიმკვიდრებს იმას, რაც გეკუთვნის!

– ეს, ალბათ, სამოთხეში ჩემი მეორე სიცოცხლის გაგრძელება იქნება, ალბათ, სიკვდილის გარეშე.

– ღმერთი გადაწყვეტს!

– მერე, სიკვდილი? სიკვდილს შევხვდები?

– ნუ გეშინია, სიკვდილი რომ მოვა, თქვენ არ იქნებით, ხოლო როცა ცოცხალი ხართ, სიკვდილი არ გაგეკარებათ.

– სად წავალ მერე, – სამოთხეში თუ ჯოჯოხეთში?

– ხალხის სახელით, ღმერთი გადაწყვეტს!

– ხალხი?!

– ჰო, ხალხი!

– ხალხის გარეშე ნუთუ სხვა გზა არ არის?

– არის, თუ ჯოჯოხეთის შესაცვლელად მთელს თქვენს სიმდიდრეს გაიღებთ.

– სიმდიდრეს? – მერე მე რა დამრჩება?

– ორი მტკაველი მიწა!

განრისხდა მეფე: – ორი მტკაველი მიწა?.. ნუთუ ორი მტკაველი მიწა მთელს ჩემს ოქროდ და თვალმარგალიტად ღირს?

ის იყო, ავისმთქმელი წინასწარმეტყველისათვის სიკვდილის დასჯის ბრძანება უნდა გაეცა, რომ მეფის სიკვდილის ზარმაც ჩამოჰკრა. ანდერძის თანახმად, მთელი მისი ქონება მეფეს გაატანეს იმქვეყნად, საფლავზე კი უზარმაზარი ყორღანი აღმართეს.

მცირე ხნის შემდეგ დამშეული ხალხი მოაწყდა მეფის სამარხს და მიწასთან გაასწორეს.

ოქრო-ვერცხლი და თვალმარგალიტი კი თანაბრად გაინაწილეს, ხოლო მეფის გვამი უპატიურად ხევში მოისროლეს ყვავ-ყორანთა და მხეცთა საჯიჯგნად.

არ ეღირსა მეფეს მეფური სამარხი, არც ის ორი მტკაველი მიწა, რომელიც, ჩვეულებრივ, რიგით მოკვდავს ეკუთვნის.

ოქრომ დაღუპა მეფე...

# „დროების" კორესპონდენცია

ხიზაბავრა. 6 ღვინობისთვის. ამას წინად მე გზა მომიხდა ზველისკენ. ხიზაბავრიდან პირ-და-პირ გაველ მტკვარში ბნელასთან, გავუარე სოფლებს სახუდაველს, ონდორასა; გარდაველი ზველი და მიველ ჭობარეთსა. სახუდაველი და ონდორა ბაღჩიანი სოფლები არიან. ნაეკკლესიებზედ წარწერა არა არის-რა. აქაც სოფელში დარიგებულ-დაფანტულია კედლის ქვები. არც ძველის ეკკლესიაზედ დამხვდა წარწერა და არცა რა ჭობარეთისა. სჩანს დარღვეულ-განადგურებული ოსმალოს დროიდან ხელ-ახლავ აშენებულებია. მის დროს კი ჩინებული ეკკლესიები უნდა ყოფილიყვნენ. ამას ამტკიცებს ზველის ეკკლესის გალავანში ყოფილი ძველ სასაფლაოს ქვის ვერძები; ისეთ ცხოველად გამოჭრილ-გამოყვანილნი არიან, რომ კაცს მართალი ცხოველი ეგონება. სამხრეთისკენ გალავნისა ეკვტერის შემოსასვლელი კარი ეტყობა; სჩანს ძველი შენობა ეკკლესიისა იქიდგან დაწყობილი ყოფილა.

ჭობარეთის ეკკლესიაც ოსმალოს დროს ჯამად გარდუქცევიათ და ახლა ეკკლესიად გარდაუკეთებიათ.

ამ უკანასკნელ სოფლებში მართლმადიდებლებიც არიან და მაჰმადიანებიც თხუთმეტიოდე მოსახლე. ყველას სარულები ახვევიათ. საზოგადოდ გლეხობის საქმეში, სტუმრობისა ქუდებს დაიბურავენ.

შესანიშნავია ზველი (ძველი). ეს ლექსი მოგვაგონებს ძველის-ძველ მესხების ცხოვრების მიმდინარეობასა.

მთელი სათალახ-ხეობისა და მუსხისა სარბიელი (ასპარეზი) ეს ძველის მინდორ-ვაკე ყოფილა. სამ წელს აქ მოიყრიდა თურმე თავს ერობა, ყველიერებში სავარჯისოდ, ვაჟკაცების გამოსაცდელად და სხვ. დახელოვნებულ სამამაცო ზნეობაში. აარჩევდნენ თავ გმირებს და მეოთხე წელიწადს გარდვიდოდნენ ვანის მთისაკენ ცხრა წყაროს ველობაზედ და იქ შესრულდებოდა საქვეყნო ოლიმპიური თავ-გამოჩენილი ვარჯისი!

ზველიდან მეორე გზა გარდმოვა სოფ. ერკოტას. აქაც მართლ-მადიდებლები არიან 14-იოდე მოსახლე და ერთიც მაჰმადიანი. ერკოტა სახელი ნიშნავს ერის-კოტაობას (ვარჯისს თუ კეჭნაობას).

ხერთვისის ხეობასაც აქ სცოდნია თავ-მოყრა და დახელოვნება ყოველ წლივ საგმირო ზნეობაში და მეოთხე წელს თურმე ესენიც გარდადიოდნენ ცხრა-წყაროს საქვეყნო ყრილობაში თავ-თავიანთ ვაჟკაცების თავ-გამოსაჩენად!

სოფ. აძგვიტა მდებარეობს როკეთს აქეთ. მეტად მაღლობ გორაზედ, საკვირველს მთის ძირში. აღმოსავლეთით ამ გორას ისეთი დამზვლეული აყაფრული ფუტურო კლდე აქვს, რომ სრულიად შეუვალია; აგრეთვე სამხრეთით მთაზე მხოლოდ ჩრდილო და დასავლეთით მისვლა შეიძლება; მაგრამ მაინც ადვილად



გასამაგრებელია ეს მხარენიც. ახლა ეს სოფელი ნაოხარია და ახალ-გაშენებული ქუნცა ოთხ ვერსის ქვემოდ იქმნება. ნაოხარ ქუნცას ნაეკკლესიები არის, წელამდის კედელი ეტყობა, ნაწერი არსად სჩანს, მაგრამ არც აქ არის ძველი ეკკლესიის ქვები დაშთენილი, სხვა ქვებით შეკეთებულია; მაგრამ მაინც არც ეს დარჩენილა დაურღვეველად.

მთელი ნასოფლარი დახვრეტილია დარნების კარების ერთ-მეორეში გაბმულ გზაკარებისაგან; ამბობენ, ამ დარნების ერთი გზა მტკვარზედ ჩამოდისო. შვიდი ვერსის სიშორეზედ ნიჯგორსა და ორმოცს შუა მართლაც რაღაცა ნაციხარ ნასაყდრი ეტყობა მტკვრის პირს, გორაზედ, და ქვეშ ქვითკირის ნაკარავები!

უწინ, ძველის-ძველად ბევრ ნაირი საგმირო ვარჯისები იყო ჩვენს სამესხო საქართველოში, რომელთ უმეტესი ნაწილი დღესაც არის დაშთენილი. სამესხეთოს ერობაში. არგონავოსანთ შემოსვლისას კოლხიდაში 1260 წლის წინ ქრისტეზედ განითქვა ბერძნული ვარჯისობანი იაზონის თანხლებული გმირებისაგან დაშთენილი; იმ დროს ხმარებულს ბერძნების საგმირო ვარჯისებში პირველი იყო „არგიული", რომელიც შემოვიდა კოლხიდაში, მეორე „ისტმიური", მესამე „ბივთიური", მეოთხე „ნეემიური". ეს ვარჯისები შემდგომში ელისელმა იბიტომ გარდააკეთა „ოლიმპიურ" ვარჯისად. ოლამპიის ქალაქის მახლობლად 888 წლის წინად ქრისტ. და ამისთვის მიიღო ოლიმპიის წოდება. მით მისი ქორონიკონი დაწესდა 776 წლის წინ ქრისტეზედ.

ამ ვარჯისში ა) იყო ჭიდაობა. ჯერ ტანისამოსით და შემდგომ შიშვლივ ჩვეულებად შემოვიდა. ზეთს წაისვამდნენ წელ-ზემოდ და წმინდა სილას (ქვიშას) შეიყრიდნენ ტანზედ, რომ შესძლებოდათ ხელის მოკიდება.

ბ) მჯიღვით ბრძოლა: მაგარ ტყავის თათმანებს ჩაიცვამდნენ თითბერით მოჭედილს და ისე ურტყამდნენ ერთმანეთს თავ-პირში.

მხარდავედრა. ორად გაიყოფებოდნენ ხელ-ფეხ მარჯვე ვაჟნი; ერთი რიგი წრეს შიგნით იყო, მეორე წრეს გარედ. უკანასკნელნი ცდილობდნენ საშუროდ ჩაჩი მოეტაცათ შაგანაებისაგან და ისინიც მოოთხვით ერთსა და ერთ ფეხს გარდასცხემდნენ, წრეს გარედ, თუ მოერტყმიათ, ის მხარე გაჭრილად დაითვლებოდა, მაშინ გარენი წრეში შევიდოდნენ და შიგანაები გარედ მოექცეოდნენ. როცა გარე რომელიმე ჩაჩს მოსტაცდა შიგანას, გაცვინდებოდნენ გარენი ერთიან დანიშნულ დონამდის გასატანად, შიგანებიც დაედევნებოდნენ; დონამდის თუ დაიჭერდნენ, ჩაუფუჭებდნენ გარეებს გამარჯვებას, თუ არა და გარენი თავისას გაიტანდნენ.

დ) ქოფი. აქაც წრეში შესულთ მხარესა ერთი წრეს შუა ამოთხრის ფოსში, ჩასდგამდა ფეხს; გარეთაგანი, რომელიც ამას ფეხითგან ფეხს მოაცვლევინებდა და თვითან ჩასდგამდა, მისი მხარე მოიგებდა.

ე) ქალის გაქცევანი. ჩუმად აქეთა მხარი რაღაცა ნიშნიან მჩვარს დამალავდნენ ერთ ერთში და რომელიც გაქცევაში ერთის დონიდგან მეორე დონაზედ გაიტანდა, ის გაიმარჯვებდა.

ვ) ბურთობანი.

ზ) რბევა სარბიელზედ ქვეითად, ცხენებით თუ ეტლებით.

ც) თულოწრე.

თ) ქვის სროლა ფიქალისა ორის ხელით თუ ლოდებისა აწევ-დაწევა. ამათ რიცხვში ისრის სროლა და ჯირითისა.

აი ეს ვარჯისები სრულდებოდა ცხრა-წყაროს. თვითოეულ ამ ვარჯისს წარმართულად თავიანთ წყაროს წყალი ჰქონიათ მიჩენილი სასმელად. ერთის ვარჯისის წყალს დალევდა თურმე, ყველას თითო-თითოდ თვითო ჯერ ვარჯისს შემდეგ იმ ერთი წყაროდგან უნდა ესვათ რიგ-რიგისად.

გამარჯვებულს ფიჭვის ტოტებიდგან შედგენილის გვირგვინით დააჯილდოებდნენ, ან დაფნისა და ან ძეწნისა. გარდა ამისა იყვნენ ვარჯისად: კუნძის თრევა, მძიმე ნივთების აწევა, ხტომა, თავმოვლა, ჯორებუნა, ციხებუნა და სხვა მრავალ გვარი, რომელიც დღესაც ხმარებულია დიდი წილი სამესხეთოში თითქმის ყოველგან, მაგრამ კი დღითი-დღე ცივდება ეს დიდად სასარგებლო ჩვეულება საზოგადოდ და დავიწყებაზედ მიდის. სახელმწიფო გარდასახადი, უსინიდისო მოხელე მეზობლის ჩაგვრა, მოსამართლეების ქრთამი, ბატონის სამსახური, მღვდლის სამლოცველო და მისთანები ათას სულ გლეხობის ზურგის ტვირთად არის გამხდარი; იმათ ზიდვას ველარც კი ასვლია და სათამაშო სავარჯისოდ სადღა სცალია?..

ერკოტას შემომჩივლეს ქრისტიანებმა: ღვთის გულისთვის, ნეტა ვინმე გარდაგვაჩენდეს ამ მღვდლის რიგგარედ გარდასახადებსაო, თვითო თუმან ნაკლებ ჯვარს არა გვწერს, თხუთმეტ მანეთს ნაკლებ მკვდარს არ გვიმარხავს, ჩვენი მონაგები მღვდელს უნდება და ხელმწიფეს და ბატონს რაღა ვემსახუროთ? რამდენს უნდა ჩვენში შვილისა, ძმისა და ან ბიძაშვილების დაქორწინება და მღვდლის გარდასახადის გარდაკიდული დაფოლხებულიაო. წირვა-ლოცვას ხომ მოკლებულნი ვართ. იმისთანა დროს მოდის საწირავად, რომ სოფელში არავინ ვართ, საქმის გამოისად. სოფელში არის და ერთი დიაკვანი არა გვყავს, რომ ან გვალოცოს და ან ყმაწვილებს სჯული გააცნოს და პატარ-პატარა წერა-კითხვა ასწავლოს!

ძლიერ კარგი იქნება, ვისიც რიგია ამ საგნებს ყურადღებას მიაქცევდეს. ამ თვითოეულ სოფლებში ყველგან მღვდელს თუ ვერ დაუნიშვნენ, მაინც თითო ქართული წერა-კითხვის მცოდნე განუწესონ, რომ ლოცვები და წერა-კითხვა მაინც ასწავლოს ახალ-მოზარდ თავობასა; თვარემ ცუდი შედეგი მოჰყვება მომავალში. შუაგულ საქართველოში ქრისტიანენი თუ მალაკნობას ისურვებენ, აქ ამ განაკიდურეს ახალ მოქცეულთ რაღა მოელოდება? საჭიროა მეტად სწავლული მღვდლები, კეთილი მაგალითისანი, უინტერესონი და მამულის მოყვარენი განვამრავლოთ, თორემ დაიღუპება ჩვენი ქრისტიანობის ეროვნება ამ რიგი უყურადღებობით! უწინდელი ყოფა-ცხოვრება სახორციელოდ რომ არ გვაკმაყოფილებს, სასულიეროს სრულიად დაცემული მიმართულება როგორღა თავს დაგვიჭერს ამ გახრწნილ თავ-დანებებულს ცუდს დროებაში?

ხიზაბავრის საბუზარის მახლობლად კერპთ-მსახურების დროის საფლავებია; ზოგი ჭალად არის დაგდებული და ზოგიცა ყანებად დახნული. რამდენი ადგილი მოვათხრევინე, მაგრამ ყოველგან ნაცრის გროვები აღმოჩნდა და მათთან კერპის მკვდრის ძელებიც დაფუტურებულდალეწილი. ამათ თავი ჩრდილოეთისაკენაც აქვთ და ფეხი სამხრეთისაკენ, გულ-ხელ დაკრეფილი, ღლიაში ჯამები უდგიათ ნახშირით და შიგ ზოგთ სალვინე ჭინჭილა უდგია და ზოგთ მინის თუ ჭიქის წურწუმა (იბრიღი). ბევრნი დიდ-ტანნი და საგანგებო ძვალ-მახვილნი არიან, მაგრამ სამწუხაროდ ბევრთ გუთნის საკვეთ-სახნისი დასწვდენია და მიულეწმოულეწია ფუტურო ადამის წლის ძვალ-ხერხემალნი. სჩანს ცეცხლმსახურებით მნათობთ მოსავნი ყოფილან...

აქ აღმოჩენილი ნაცრის გროვები ერთი ყანის სიშორეზედ ვრცელდება ამ გორიდგან დაწყობილი, სადაც კერპები ჰქონიათ ამართული; მაგრამ უწინ ღრმად დამარხული ყოფილა.

ბევრ საუკუნოებს გაუვლია. ნაცრის ზემოდ ამაღლებულს გორიდგან გადმოფენილს მიწაში მიცვალებულნი იხსნან ქრისტიანეთაცა; ის მიწა ხელმძლავ საქონელ ცხვარ-ძროხის ფეხსა თუ ღვარს გადმოულეკია და იმ მიცვალებულთ კუბოები ჩანან ფიქლებისა.

ერთს ხიზაბავრელს ამ სასაფლაოების კარგა ზემოდან ნაჯახის ნაირი რაღაცა ქვის იარაღი ეპოვნა. ეს ქვა მე ვნახე; მაგრამ არაფერს არ ემსგავსება, ჩვენი ქვეყნის ქვას არა ჰგავს, მოლურჯო ლიბრი ქვაა. უთუოდ ეს ბურნაშის ჩამოტანილია მახლობელი ხევის მხრიდან. ჩემის აზრით, დიდი საუნჯეები სძევს მიმარხული გამოსაფენი ჩვენის ისტორიისათვის ამისთანა ალაგებში, მაგრამ საგულდაგულოდ გამომძებნი არავინ არის.

გავლილ თვეებში ხიზაბავრის მახლობლად, ნიჯგორის ხრამის თავზედ, შევხვდი გაქვავებულ გველებსა, ქვაზედ მოხვეულთ. ეს ქვა წამოვაღებინე, მაგრამ მომტვრეულია გარემოს მიერ; სამ მოხვეულ გველში ძლივს ერთი გველის ტანი იყო დაკრული ნახევრად, მოვსძებნე იმ ალაგას და იმ გველის თავიც ვიპოვნე, ადგილობრივი ქვის სახე მიუღია. მეორე გველებისაც ტანის ნაწყვეტები სჩანს, სხვა აღარა. მე მგონია, წარმართობის დროს პატივის დებაში ჰქონიათ ეს საოცარი მოვლინება. სჩანს, სამნივე მთლივად ყოფილან და შემდგომ ქრისტიანობისა შეუმუსვრიათ და ნიჯგორის საწვეროდგან ამ ხრამში ჩაუგდიათ.

აგრეთვე საროს მახლობლად შვიდრავანტის გარდასავალს კაპნებში აღმოვაჩინე კლდის ძარღვები, რომელიც კეც-კეცად დგება თხელ ფიქალებად თითო-ოროლი მტკაველის ოდენი. ამ ფიქლებზედ მის დროს ყოფილ მცენართ (ბალახ-ვარდების) სახე ისე გარდახატულა, თითქოს კარგის ფოტოგრაფიით იყოს ემ წამს აღებული.

უფრო საკვირველი ეს არის, რომ ფიქლის ორსავ მხარეს სხვა-და-სხვა მცენარეებია, რეერთიც(!) თხელი ფიქალი იყოს! ეს კარგა მანძილზედ ასრე მიდის, ზოგან სქელი ფიქლები დგება და გორმეზი (უსწორ-მასწორო), მაგრამ მაინც უფრო ცხოვლად გამოყვანილი მცენარეული სახე სურათი აჭყვიათ.

*ვინმე მესხი,*
*„დროება", 1882 წელი, N217-18*

# ერეკლე II-ის ქალიშვილების პოეზია



## მარიამ ბატონიშვილი

### ჰოი, დამწარდეს დროთა ტკბილობა

ჰოი, დამწარდეს დროთა ტკბილობა,
უწყალომ ეტლმან რა ქმნა ცილობა,
აღფხვრა წალკოტსა ვარდთა შლილობა,
დასთრგუნვა ჩემი დღე – კეთილობა,
ბნელ ჰყო ქართლისა ძვირფას მტილობა,
მესისხლე მარიხს აქვს ხმალ წვდილობა.

მზის მსგავსნი სხივნი ღრუბლით
დაფარნეს,
მიქმნეს სიცოცხლე ნაღვლის უმწარეს,
ჩემსა მომლხენსა ვერ ვჭვრეტ მთოვარეს,
ამად ვზი და ვსტირ, ვღვრი ცრემლს
მდუღარეს,
ვინ მანუგეშებს მარად მწუხარეს?
მრისხანეთ ჯალათთ აქვსთ
გარს ყრილობა.

ედემის ბაღსა ზრდილნი ყვავილნი,
ვარდნი კოკობნი, ნაზად გაშლილნი
გულდამატკბობლად ახლად ფურჩვნილნი,
ვაჲ მე, უწყალოდ მყვეს აღმოფხვრილნი,
შორად მიმტაცეს მე მათნი ჩრდილნი,
ნუ მგმობთ, თუ მათთვის მაქვს
ცრემლ-ნილობა.

ჩრდილოს კერძომან საბავთო ქარმან,
მძვინვარედ მქროლმან და დაუწყნარმან,
ჩემნი მთიებნი ჰყო გარის-გარმან,
მიმოაბნივნა შავ ბედის ღვარმან,
ვინ ვპოვო შემწე მე მათთვის მკვდარმან,
სახმილი მშრიტოს, მცეს გულს გრილობა?

დას-დასად მწყობრნი დაუნდობელნი,
მუხთლად მქცევ მრავალთ
ლხინთა მცხრომელნი,
სხვა და სხვად მცველნი,
ურთერთს მსწრობელნი,
კეთილ სუნნელთა ყვავილთ მზრობელნი,
უცნობთა პატიჟთ მქნელ მომთხრობელნი,
ჩემად საკვდავად აქვსთ შეყრილობა.

ჩემი წალკოტი აღყვავებული,
ოთხ კიდე სახელ განდიდებული,
ყვავილთ სიმრავლით განშვენებული
იქმნა, ამად ვსტირ ცეცხლ მოდებული,
ვაიმე მათგან მოოხრებული,
ვის შეხვდა მათი მოადგილობა.

ეჰა, მაღრიბის მანათობელნო,
ჩემის გულისა მაცოცხლებელნო,
ვინ მიგიმძლავრათ ტკბილ სამყოფელნო!
მარიხს შევსტირებ მომღრუბლებელნო,
გკადრებ ქვეყნისა შემამკობელნო,
ყარიბს დამშრიტე გულს სახმილება.

### აჰა დამეცნეს რისხვით ცანია

აჰა დამეცნეს რისხვით ცანია,
ისმინეთ საწყლად გლოვის ხმანია,
ნეტარ რად მოვვლე ესდენ ხანია,
რად არ სიკვდილად ვიქმენ მზანია?
რაბამ მწარე არს ესე თქმანია,
ვისნი მომაკლდენ თვალთ შედგმანია,
გადახდეს მზენი მაღალ გვარნია,
ვაჲ , ჰსდიან თვალთა ცრემლნი ზღვანია,
მეცა მტიროდეთ მოყვას–ძმანია,
მარად მწვენ ცეცხლნი სხვა და სხვანია.
აჰა დამეცნეს რისხვით ცანია,
ისმინეთ საწყლად გლოვის ხმანია.

ვიგლოვ სიმწარით ძნელ სატირებსა,
მსმენელთა გულთა გასაგმირებსა,
მიმცა სოფელმან მრავლად ჭირებსა,
ოხვრა-სულთქმასა ესდენ ხშირებსა,
ვაჲ, ბედთაგანცა განაწირებსა,
მიმიღო შვება, არ მცა ლხინებსა,
რადგან მაშორვა მნათობთ გმირებსა,
ვარ სიცოცხლისა განაპირებსა,
ჰხამს გებრალოდეთ ყოვლსა მზირებსა,
აწ სავალალოდ ესე კმანია.
აჰა დამეცნეს რისხვით ცანია.
ისმინეთ საწყლად გლოვის ხმანია.
ჵ, რად შევესწარ ამა დარესა,
ძნელ სახილველსა, შესაზარესა,
სადავითოს მტილს მოფხრულს არესა,
მხედველ სისხლისა, ცრემლსა ღვარესა,
ვაჲ, ვერ ვსჭვრეტ დიდსა
მნათობთ გვარესა,
ამად მივეცი დღესა მწარესა,
რადგან მზე ჩვენი ჩრდილოთ ჰფარესა,
აწ დამქოლვიდეთ არ სახმარესა,
სევდით გრაგნილსა ბნელ სამყარესა,
აწ, გულო, გქონან ესდენ წვანია.
აჰა დამეცნეს რისხვით ცანია,
ისმინეთ საწყლად გლოვის ხმანია.

განცვიფრდი ცაო, განჰკრთი მიწაო,
მეცა დამფარეთ ღრუბელთ-ნისლთაო,
აჰა დანთქმული ჩრდილოთ ზღვითაო,
მარად ვაფრქვევდე ცრემლთა ხშირთაო,
ვაჲ, განგვაშორნეს მზენი სითაო,
ჰყვეს განდევნილნი შორის გზითაო,
არ გვაქვს ნუგეში არ თუ ღვთითაო,
მას ვევედრები მწარის ხმითაო,
მათნი მგონები, გულთა მლონები,
მარად მტირალნი მხევალ დანია.
აჰა დამეცნეს რისხვით ცანია,
ისმინეთ საწყლად გლოვის ზარია.

### მიგლოვდით მეცა

მიგლოვდით მეცა მოყვასნო,
სოფლისა განაწირებსა,
აწვე შთასრულსა საფლავად,
მეცნთაგან დასატირებსა.
მოვსთქვამ სულთქმითა საბრალოდ,
ძნიად სათქმელსა ჭირებსა,
მსმენელთა შესაბრალებლად,
ჭმუნვათა გასახშირებსა,
ვარდთა დასხმულთა ედემით,
მჭვრეტელთა განსაკვირებსა,
ვაჲ, კიდეგანთა მამულთა,
სამყოფთა განა მწირებსა,
მიგლოვდით მეცა მოყვასნო,
სოფლისა განაწირებსა,
აწვე შთასრულსა საფლავად,
მეცნთაგან დასატირებსა.

იგრგვინვა ცამან ჩემზედა
რისხვითა საშინელითა,
დაჰფარნა ჩრდილოთ ღრუბელმან
მნათობთ არენი ბნელითა,
წარხდეს წალკოტნი მაღალნი,
ჵ, საცთურითა ძნელითა,
ვაჲ, დიდებულნი პალატნი
იქმნა მტერთ საცინელითა,
აწ განწირული უწყალოდ,
ვიწვი ცეცხლით არ ნელითა,
სად ხარ სიკვდილო, რას ჰყოვნი,
არ მიმცემ დღესა მცირებსა?
მიგლოვდით მეცა მოყვასნო,
სოფლისა განაწირებსა,
აწვე შთასრულსა საფლავად,
მეცნთაგან დასატირებსა.

დაბრუნდა ეტლი უკუღმა,
წარხდა დღე კეთილ მზიანი,
დაემხო ტახტი მაღალი,
რა ბედნიერი, სვიანი;
განჰქრივნა ვარდნი სატრფონი,
არღარა ჰყვავის იანი,
განმწარდა ყოვლნი შვებანი,
ტკბილნი, საამო ხმიანი.
აწ საწუთროსა მდურავი,
ვსტირ უბედური დღიანი,
დაბნელდით თვალნო მტირალნო,
ჰხედავთ რას განსაცვიფრებსა!
მიგლოვდით მეცა მოყვასნო,
სოფლისა განაწირებსა,
აწვე შთასრულსა საფლავად,
მეცნთაგან დასატირებსა.

დახდა მზე იგი აზიით,
აწ ჩრდილოთ მოეფინება,
მიგვიხვნეს მსწრაფლად მთიებნი,
ვით უძლოს გულმან თმინება?
არ დაჰსცხრა ჩვენზედ მარადის
სოფლის საცთურთა შინება,
ამად მაქვს თვალთა ნიადაგ
სისხლისა ცრემლთა დინება,
ჵ უბედოსა რა სოფლით,
მომეცა ეზდენ წყინება,
ნუვინ ეტრფობით სოფელსა,
ცრუსა და მუხთლად მზირებსა.
მიგლოვდით მეცა მოყვასნო,
სოფლისა განაწირებსა,
აწვე შთასრულსა საფლავად,
მეცნთაგან დასატირებსა.

რა ითნო დიდმა მთიებმა
მაღალ -გვარ მტილთა შლილობა,
დაბინდდა ხმელთა არენი,
არღარა აქვსთ ვარდთ შლილობა.
განკრთეს მნათობნი ყოველნი,
აწ ღრუბელთ იწყეს ჩრდილობა,
შვიდთავ ცთომილთა ზარ ტეხით,
ქუფრ ხვევით ჰაერ ცვლილობა,
ჰსცანით ყოველთა, ესე არს
სოფლის ქცევა და ზრდილობა,
არვის ითვისებს, არ ინდობს,
არ მაღალს, არცა მცირებსა,
მიგლოვდით მეცა მოყვასნო,
სოფლისა განაწირებსა,
აწვე შთასრულსა საფლავად,
მეცნთაგან დასატირებსა.

## ქეთევან ბატონიშვილი

### ჰოი, ვითარ ვსთქვა

ჰოი, ვითარ ვსთქვა განსაკრთომელი,
ჩემის სიცოცხლის დამამცრობელი,
ჩრდილოთ ვიხილე მცირე ღრუბელი,
აზიის მთიებთ დამბნელებელი,
მშვენიერ წალკოტთ არ მფურჩვნებელი,
ბედნიერთ პალატთ დამამხობელი.
ჰოი, ვითარ ვსთქვა განსაკრთომელი,
ჩემის სიცოცხლის დამამცრობელი.

აღმოჰფხვრნა ვარდნი, უცხოდ ნაზარდნი,
თვისთა მამულთა ჰყო განავარდნი,
არღა ჰყვავიან ზამბახნი, ვარდნი,
განჰქრივნა ყოვლგნით,
მკვლენ მათნი დარდნი,
მათი მგონები აწ, გულო, დადნი,
არ მაქვს წამალი მამთელებელი.
ჰოი, ვითარ ვსთქვა განსაკრთომელი,
ჩემის სიცოცხლის დამამცრობელი.

ზოგნი დაჰფარნა თვისით ნისლითა,
ზოგნი დილეგთა – არვინ უშლითა,
მეცა მეწია ბედით ჩემითა,
მიმცა პატიმრად წვიმის ცრემლითა,
მათთვის ცეცხლითა არ მწვავს ნელითა,
ვინცა არნ ჩემი მაცოცხლებელი.
ჰოი, ვითარ ვსთქვა განსაკრთომელი,
ჩემის სიცოცხლის დამამცრობელი.

გუშაგნი მრავლად ჩემთვის მცველობენ,
სხვა და სხვა ჰაზრით გველებრ ჭრელობენ,
არ მცემენ ნუგეშს,
მსწრაფლად მწყრალობენ,
მათნი მახვილნი გულსა მჭრელობენ,
კვლავ სხვანი მოვლენ,
სადგურს მცვლელობენ,
მჭმუნვარის გულის დამწყლულებელნი.
ჰოი, ვითარ ვსთქვა განსაკრთომელი,
ჩემის სიცოცხლის დამამცრობელი.

არ დამაჯერა აქ პატიმრობას,
ესდენ უწყალოდ განაწირობას,
უთმინოს სევდით გულის შეპყრობას,
კვლავცა მპირდება ჩრდილოთ
მგზავრობას,
უცხოს, მწირს ადგილს
კვლავ სადგურობას,
მყისვე სიკვდილის ვარ მახლობელი.
ჰოი, ვითარ ვსთქვა განსაკრთომელი,
ჩემის სიცოცხლის დამამცრობელი.

აწ მე მიგლოვეთ სატრფონო, ძმანო,
ყოვლნო მოყვასნო, დაზრდილნო ყმანო,
ვაი მათთანა შვების აღთქმანო!
აწვე სადა ხართ, გლოვისა ხმანო?
სადავითოსა მტილს შინა თქმანო,
უნუგეშოდ – არ დასათმობელი.
ჰოი, ვითარ ვსთქვა განსაკრთომელი,
ჩემის სიცოცხლის დამამცრობელი.

რად არ დაგვიწყდი, ჰოი, სოფელო,
არ ხანიერო, წუთ-საყოფელო,
მცირის ჟამისავ არ დამყოფელო,
ჩემებრ უბედოთ ცუდ საყოფელო,
მაგრამ ბედნიერთც პირ დამყოფელო,
ვინც არ გენდობის, ვარ მადლობელი.
ჰოი, ვითარ ვსთქვა განსაკრთომელი,
ჩემის სიცოცხლის დამამცრობელი.

## თეკლა ბატონიშვილი

### პასუხი ქეთევან ბატონიშვილს

რად გკვირს პატიმარს მწუხარებანი,
მცირეს ხანს ლხინთა განმწარებანი?
თუმცა იხილეთ მნათობთ ვნებანი,
იერიქოს ვარდთ უცხოდ რებანი,
ნაზთა იათა ცრემლით ვსებანი,
უთმინოთ ოხვრით სულთქმა-ვებანი.
რად გკვირს პატიმარს მწუხარებანი,
მცირეს ხანს ლხინთა განმწარებანი?

სტირ შესაწყალად წალკოტთა რგულთა,
შვენიერ ვარდთა, ედემით სხმულთა,
ზამბახთა თხზულთა, უზადოთ მკულთა,
თვისთა მამულთა, აწ განკარგულთა,
არ სცემ ლხენასა მცირეს ჟამს გულთა.
გწადს სევდით მოცულს ველთა რბენანი.
რად გკვირს პატიმარს მწუხარებანი,
მცირეს ხანს ლხინთა განმწარებანი?

იგლოვ მაღალს ტახტს, ვაი წახდომილს!
დიდებულს პალატს, მსწრაფლად
დამხობილს,
შვება-სიხარულს, ტრფობით შეტკბობილს,
ეტლს დაბრუნებულს,
მოყვასთგან გმობილს,
გსურს მყის სიკვდილი,
გულ ლახვარ სობილს,
არღარად გნებავს სიტყვის გებანი.
რად გკვირს პატიმარს მწუხარებანი,
მცირეს ხანს ლხინთა განმწარებანი?

ჰგოდებ სიმწარით მრავლად ჭირებსა,
მსმენთაგან ძნიად გასაკვირებსა,
უთმინოდ სულთქმას განახშირებსა,
ყოვლთა მტერთაგან დასატირებსა,
ნუ სწუხ, დაშრტება ცეცხლთა დებანი.
რად გკვირს პატიმარს მწუხარებანი,
მცირეს ხანს ლხინთა განმწარებანი?

ჰე, გულო, რად გაქვს ესდენ წყინება,
მარად სისხლისა ცრემლთა დინება,
გუშაგთ სიმრავლით თვალთა შინება,
მათგან უწყალოდ ჭირთა სმინება,
რადგან ჩრდილოთ მზემ ესრეთ ინება,
კრძალვით ითმინე სახმილთ გზნებანი.
რად გკვირს პატიმარს მწუხარებანი,
მცირეს ხანს ლხინთა განმწარებანი?

# ტარიელის ზღაპარი

იყო და არა იყო რა, ღვთისა და თქვენ უკეთესი ვინ იქნებოდა. ყოფილან სამი ძმანი: სპირიდონი, ტარიელი და ავთანდილი, ცხოვრობდნენ ცალ-ცალკე, სპირიდონს ყოლია ცხენები, მეჯინიბე ყოფილა. ტარიელს ერთი მამიდა ჰყოლია და იმასთან გაზრდილა. ტარიელს გულში ჩავარდნია მეფის ქალი ნესტან-დარეჯანი. ქალის დედ-მამას ასე უთქვამს ტარიელის მამიდისათვის, თუ ტარიელს ჩვენი ქალი უნდა ითხოვოს და შეირთოსო? ტარიელს უთქვამს: აბა, ვის შეუძლია ქალი მე წამართვას, იმასა და მე რამდენი ხანია ერთი-მეორეზე თვალი გვიჭირავს და ვერც ვერავინ აგვაშორებსო. ვინ იქნება ისეთი, რომ ჩემი ხელიდან ქალი წაიყვანოსო. ეს იწყინა მეფემ და ნესტან-დარეჯანი ხოროზანთ მეფეს მიათხოვა. მამიდამისმა ტარიელს უთხრა: ნესტან-დარეჯანი გაათხოვეს, ქორწილი მოვიდა, უნდა წაიყვანონ და ეს როგორღა არის, შენ რომ ამბობდი, ქალს ვერ წამართმევენო. ტარიელი მივიდა, ქორწილ მაყრები გალახა, სიძესაც მუშტი შემოჰკრა და ტვინი კედელს მიასხმევინა. ამ ჩხუბში ქალის პატრონმა ქალი ჩასვა კიდობანში და მისცა ზღვას. ასეთი ლექსი უთხრა:

ტარიელ დაგსვი ვეზირად,
სიტყვა შენ დაგაბჭობინე,
გიყვარდა ნესტან-დარეჯან,
რატომ არ შემატყობინე.
არც შენ მოგცემ და არც იმას,
ორივ ხელ აგაღებინებ.

ნესტან-დარეჯანის ადგილას ქორწილში ერთი ბებერი შეკმაზეს და დააჯინეს. ტარიელს ნესტან-დარეჯანი ეგონა და გაიტაცა ბებერი.

ბებერი ეუბნება ტარიელს:

ტარიელო, ნუ მიგყავარ,
არას ვარგივარ ქალათა.

ტარიელმა იფიქრა, ეს რატომ ამბობს ასეო. ჩამოსვა ზურგიდან, ნახა ბებერია და მაშინ თქვა:

მიმყამდა ბერი ბებერი,
მიმიხაროდა ქალათა,
დავჯექ და კბილი უნახე,
ერთიც არ ჰქონდა ცალათა.

ტარიელმა ბებერი გაუშვა და შეუდგა ნესტან-დარეჯანის ძებნას. მამიდამისს უთხრა: მე აქ ვერ დავდგები, უნდა ვეძებო ზღვის პირებზე და ვიპოვო ჩემი სიცოცხლეო. შეჯდა თავის ცხენზე და წავიდა ზღვი პირებზე. ტარიელი ტირის და წყალს ელაპარაკება:

წყალო, რა უყავ ჩემი მზე,
შენ წყალო, არაგვიანო,
არც გეკვრის თოფი, არც ხმალი,
არც შუბნი გეცემიანო.

ტარიელი დადიოდა ასე წყლი პირას და ტიროდა. როსტევან ხენმწიფემ დაინახა ტარიელი თავისი ცხენით და გაგზავნა კოჭლი მონა, გაიგე, ვინ არისო. წავიდა კოჭლი მონა, მივიდა და ნახა, რომ ერთი ვაჟკაცი ზის და ტირის. ჰკითხა, ვინა ხარო, ხენმწიფე გიბარებს და წამოდიო. ტარიელმა წამოხტა გაბრაზებული, მოაგლიჯა მონას ცალი მკლავი, მისცა მეორე ხელში და უთხრა, წადი და მეფეს ასე უთხარიო: ხელმწიფეს ჩემთან არაფერი ესაქმება, მე ჩემი დარდი მაწუხებსო. კოჭლი მონა რომ დაბრუნდა, მეფეს მოახსენა:

წყლისა პირსა მოყმე ვნახე,
მომტირალი გვანდა გმირსა,
მარგალიტი ხშირად ესხა,
ცხენის ლაგამ-უნაგირსა.

მეფე გაჯავრდა და ახლა ვეზირები გაგზავნა დასაჭერათ:

ჩემო ელთა და ომარე,
წადით, მომგვარეთ ის კაცი,
ვინ არის ველთა მდგომარე.

ელთამ უთხრა როსტომს:

ჩემო დიდებულო ხელმწიფეო, მარტოც მოგიყვან იმ კაცსა, მასზედ რათ მინდა ყველანიო. მერე კოჭლმა მონამ უთხრა: ჩემო ელთა, ის სხვები არ გეგონოს, გირჩევნია ორთავე წადითო. მაშინ ხენმწიფემ გაგზავნა ორივენი.

ელთა და ომანე მივიდნენ ტარიელთან, დადგნენ შორი-ახლოს და დაუძახეს, ხენმწიფე გიბარებს, ახლავე წამოდიო. ტარიელმა სრულებით ყურადღება არ მიაქცია, კიდევ უფრო გაბრაზდა, მე ხომ შეუთვალე, ჩემი დარდი მეყოფა და რატომ თავს არ დამანებებენო. ამ დროს კოჭლი მონა შორიდან უყურებდა მათ ლაპარაკს. მეფის ყოჩაღები ახლოს მივიდნენ, ტარიელმა ჯერ კაცები მიახალა ერთმანეთს და მოცელა, მერე ცხენები. ახლა წაიღეთ კარგი ამბავიო.

კოჭლმა მონამ დაინახა ყველაფერი ეს, იმ წამს გამოიქცა ხენმწიფესთან და უთხრა:

ჩემო როსტევან, ხენმწიფეო,
შენი კარგი მეომრები
დაგიმშვიდა ტკბილის ხმითა,
ცხენი ცხენს ჰკრა, კაცი — კაცსა,
ხორა შედგა უნაგრისა.

ხენმწიფემ რომ ეს ამბავი გაიგო, გასცა ბრძანება, როგორ თუ მე ხენმწიფემ ერთი კაცი ვერ მოვიყვანოო. შეკრიფა ჯარი და შემოერტყა ტარიელს გარს. ამ ჯარში ტარიელის ძმა ავთანდილიც იყო, თურმე. ტარიელს ჯარი რომ შემოერტყა, ეძინა. გაიღვიძა და ნახა, რომ გარს ჯარი არტყია. ხენმწიფემ ჯარი გააფრთხილა. ვაი იმას, ვის თავზედაც ის გადაივლისო. ტარიელმა გაიგონა ეს ყველაფერი და იფიქრა: ხალხი ცოდოა, რომ ვხოცოო და ისევ ხენმწიფეს გადაუვლი, რომ სხვა ვერავინ დასაჯოსო.

ტარიელმა თვალები მოიფშვნიტა, შეჯდა ცხენზე და გადააფრინა პირდაპირ მეფეზედ. მეფეს შერცხვა, სხვებს დეემუქრა, თუ გაგექცევათ, დაგსჯითო და ახლა თავისი სიტყვა რომ არ გეეტეხა, თქვა: ფური და ფურულებ წავიდაო. ახლა ავთანდილი ეუბნება მეფეს: ხარი იყო და ხარულებ წავიდაო. ეს ავთანდილიც გმირი კაცი იყო და იფიქრა, თუ მე ამ კაცის ამბავი არ გავიგე, რაღას გმირი ვიქნებიო.

ავთანდილი თავისი ცხენით გამეეკიდა ტარიელს, მაგრამ ვერ მიეწია. ტარიელს გზაში ერთი დევი შეხვდა. ეს დევი ზის ურემზე და გამვლელ-გამოვლელს მიიტყუებს თავისთან, ელაპარაკება, თუ რამე აქვს ჩამოართმევს და თითონაc შესჭამს. დევმა ტარიელსაც დაუპირა მოტყუება, მოდი კაცო, ასე ძალიან რათ იჩქარიო.

გაბრაზებულმა ტარიელმა დაუკრა ხელი ურემს და ხევს გაღმა გაუსრიალა. ცოტა ხნის შემდეგ ავთანდილიც მივიდა დევთან. დევს ჰკითხა, აქ გამოიარა ვინმემ ცხენიანმა კაცმა ასე და ასე ჩაცმულმაო? მაშინ დევმა უთხრა:

ერთმა პირშავმა მოყმემა
მოწყენით ჩამოიარა,
ურემსა ხელი დამიკრა,
წყალ გაღმა გამასრიალა.

ტარიელს გზაზედ შეხვდა სამი ძმა, რომლებიც ნადირობიდან ბრუნდებოდნენ. ტარიელს შეეკითხნენ, ვინა ხარ, საიდან მოდიხარო. ტარიელმა პასუხათ მათრახი გადაჰკრა ერთ ძმას და კლავიდან დააზიანა. გაიარა და წავიდა. ეხლა ამ ძმებს ავთანდილი შეხვდა. ავთანდილი შეეკითხა: ვინ ხართ, რა მოგსვლიათო. იმათ უპასუხეს: ჩვენ სამი ძმანი ვიყავით, ახლა ნადირობიდან ვბრუნდებოდით, გზაში ერთი კაცი შემოგვხვდა, ჩვენ დაჭერა დავაპირეთ და მან მათრახით ძმა ასე დაგვიაზიანაო.

ავთანდილს გზაში ამათ შეხვედრამდის ნადირი მოეკლა და წვადი შეეწვა. ახლა ძმებს ეუბნება:

ეგრე გაჰყევით ფერდოსა,
წვადი იწვიან ნებასა,
იმისი ხორცი დაადეთ,
ის მისცემს მოსვენებასა.

წავიდნენ ეს ძმები, მოიქცვნენ ისე, როგორც ავთანდილმა დაარიგა და ძმას პატარა მოსვენება მისცა. ავთანდილი მისდევს ტარიელს, მაგრამ ახლოს კი არ ეკარება, ჯერ გავიგო ამის ვინაობაო. ტარიელს მობეზრდა მარტოდ სიარული და გადაწყვიტა, წაეყვანა მამიდა და ეცხოვრა სადმე ზღვის პირას. მივიდა მამიდასთან და წაიყვანა. ტარიელი მამიდასთან ერთად დაბინავდა გამოქვაბულში. ავთანდილი უთვალთვალებს შორიდან, ტარიელი წავიდა სანადიროთ. ავთანდილმა გადაწყვიტა, მისულიყო გამოქვაბულში და გაეგო ტარიელის ამბავი. მივიდა ავთანდილი, ნახა ერთი მოხუცი მანდილოსანი ქალი და კითხა: დედა-შვილობასაო, ეს კაცი ვინ არის, მითხრი მაგის ამბავიო. მამიდამისმა უპასუხა: კარგი ვაჟკაცი ხარ, ნუ გამოუჩნდები, თუ არა, ცოდო ხარ, იგი უსიკვდილოთ არ გაგიშვებსო. ავთანდილმა უთხრა, სანამ მაგის ამბავს არ გავიგებ, აქედან ვერ წავალო. მაშინ ტარიელის მამიდამ ასმათმა იფიქრა, მაინც არ მომშორდება, სჯობს ვეტყვი, რომ მალე წავიდეს, თუ არა, ცოდოა ამისთანა ვაჟკაცი გააფუჭოსო. ასმათმა უამბო, ეს ტარიელია და გადასცა თავისი თავგადასავალი. ავთანდილს გაუკვირდა, ეს ხომ ჩემი ძმა ტარიელი არისო. ქალსაც ამბავი ჰკითხა, გაიგო, რომ მისიც მამიდა იყო და თავისი თავიც გააცნო. გაეხარდათ ორთავეს და ერთმანეთი ჩაკოცნეს. მამიდამ უთხრა, თქვენი უფროსი ძმა სპირიდონი ამომავალ ალაგას არის, აქ ცხოვრობს შეძლებულადო. ჩანს, რომ ესენი ბავშვობიდან დაფანტულან და მამიდამისმა კი ყველაფერი იცოდა. ცოტა ხანი რომ ილაპარაკეს, მამიდას შეეშინდა, ტარიელმა არ მოგვისწროსო, თუ არა მოგკლავსო. ასმათმა უთხრა ავთანდილს, შენ ამ ტყეში დაიმალე, მე ტარიელს უამბობ ყველაფერს და მერე გაგაცნობო. ეგრეც მოიქცნენ. ავთანდილი დაიმალა ტყეში.

ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა ტარიელი. მამიდამისმა უთხრა, წამომიყვანე ამ ტყეში და მთელი დღე მარტოდ ვარ. ტარიელმა უპასუხა, რა ვქნა, ძმები მყოლია, მაგრამ ისინი არ რას მოგვაგნებენ და აბა, სხვა მოკეთე ვინღა უნდა ვიშოვოთო. ასმათს გაეხარდა ტარიელის სიტყვები და უთხრა: შენი ძმა აქ არის, რამდენი ხანია, თურმე, ფეხდაფეხ დაგდევსო. თუ ნებას მომცემ, შემოვიყვანო. ტარიელმა უპასუხა, თუ კი ასეთი ვინმე გვყავს, ამას რაღა სჯობიაო, მოიყვანე და მანახეო. ასმათმა მოიყვანა ავთანდილი და ძმები გააცნო ერთმანეთს. ტარიელი და ავთანდილი რომ ერთმანეთს კოცნიდნენ და ეხვეოდნენ, ავთანდილს წიბოები ჩაედრიკა.

ავთანდილი და ტარიელი დასხდნენ. ავთანდილმა მოიწყინა. ტარიელი შეეკითხა: მე ჩემი დარდი მაწუხებს და იმისთვის ვარ ასე მოწყენილი, მაგრამ შენ რაღამ დაგაღონაო. მაშინ ავთანდილმა უპასუხა: შენ ისეთი კოცნა გცოდნია, რომ წიბოები ჩამიდრიკე და მოწყენილიც იმიტომ ვაროო. ასმათმა ავთანდილს დაადო წიბოებზე ირმის ტყავი და წიბოები მოურჩინა.

იმ ღამეს დაიწყეს მუსაიფი, თავიანთი თავგადასავალი. ტარიელმა რომ დაიწყო თავისი თავგადასავალი, ნესტან-დარეჯანის მოგონებაზე გული წაუვიდა, დაბნდა. ავთანდილმა და ასმათმა მოაბრუნეს ტარიელი და განაგრძეს ლაპარაკი. ტარიელმა თქვა: მე ჩემი მზის დაკარგვის შემდეგ, ადამიანის სახე მეჯავრება, არავის გავეკარებიო.



ავთანდილმა ამაზე უთხრა: მე შენი ძმა არ ვიქნები, თუ შენი საყვარელის ამბავი არ გავიგე ამ ქვეყანაზეო. ავთანდილი უფრო ჭკვიანი და გამოცდილი კაცი იყო.

ტარიელი და ავთანდილი წავიდნენ ნესტან-დარეჯანის საძებნათ. ტარიელი უფრო ტყეებში დადის, ავთანდილი კი ზღვის პირას. ბევრი ხანი გავიდა. ავთანდილი ერთ ალაგს მებადურებს შეხვდა. მას ტარიელიდან ნაამბობი ჰქონდა კიდობნის ამბავი და ახლა მებადურებს ჰკითხა: თქვენ ამ ზღვის პირას დადიხართ და ხომ არ დაგინახავთ კიდობანიო?

მებადურებმა უპასუხეს: ამ ერთი თვის წინათ, წყლის პირას ვიყავით ქაჯეთის პირდაპირ და დავინახეთ, ქაჯეთის ხენმწიფემ გამოგზავნა ზანგები და კიდობანი ზეით აატანინაო. ჩვენ სხვა არაფერი ვიცითო. ავთანდილს ძალიან გაეხარდა ეს ამბავი და ჰკითხა: ქაჯეთის ქვეყანა შორს არისო? მებადურებმა ასწავლეს, სადაც იყო ქაჯეთი, მაგრამ უთხრეს: ქაჯეთში შესვლა არაკაცს არ შეუძლიაო. ქაჯეთის ხენმწიფეს ვერავინ მოერევაო. ქაჯეთში მხოლოდ ერთი ხვრელი შედისო. შესავალში ქაჯეთის ხენმწიფეს ერთი ხელის წისქვილი აქვს — მარჯვნით დააბრუნამს, ცხენოსანი ჯარი გამოდისო, მარცხნივ დააბრუნამსო, — ფეხოსანი ჯარი გამოდისო.

ავთანდილმა გადაწყვიტა ქაჯეთში შეპარვა, რომ მდგომარეობა გაეგო. წავიდა ახლო ქალაქში, იყიდა სავაჭრო რამეები და თითქოს ვაჭარიაო. აიკიდა ყუთი და შევიდა ქაჯების ქალაქში. იარა, ივაჭრა, დაუახლოვდა ერთ ქვრივ მოხუცებულ დედაკაცს და უთხრა: ამაღამ ბინა მომეციო. დედაკაცმა ისტუმრა ავთანდილი. ავთანდილმა გამოიკითხა ქაჯეთის ვინაობა. დედაკაცმაც ესე უამბო და აუწერა ქალაქი, როგორც მებადურებმა.

ავთანდილი წამოვიდა ქაჯეთიდან და მოვიდა ტარიელთან. უამბო ყველაფერი და უთხრა: ვერაფერს გავხდებითო. საჭიროა დიდი ომი და ამისთვის საჭიროა დავიხმაროთ, როგორც მამიდაჩვენი ამბობს, ვისაც მფრინავი ცხენები ჰყავს ისინი და ძალიან გამოგვადგებაო. თითონაც დავიხმაროთო. ციხეს თუ ავიღებთ მხოლოდ სამი, რადგან ჯარი სამ ადგილას დგასო.

წამოვიდნენ ორთავენი სპირიდონის საძებნელათ. მივიდნენ და სპირიდონის ჯოგი შეხვდათ. დაიჭირეს ორი ძვირფასი ცხენი. სპირიდონს ამბავი მიუვიდა, რომ შენი ძვირფასი ცხენები დაიჭირესო.

სპირიდონი გაბრაზდა. წავიდა, გზაში ერთი ხე მოგლიჯა, მხარზე გაიდო, როგორც ჯოხი და მოდის საჩხუბრათ. ძმებმა კი დაუძახეს: ძმების მოსვლა გეწყინა თუ ცხენის საჩუქარი გენანებაო, რომ საჩხუბრათ მოიწევო?

სპირიდონმა იცოდა, რომ ძმები ჰყავდა, მაგრამ რა გადახდათ, ეს კი არ იცოდა. ძმობა რომ უთხრეს, გაუხარდა და გადაკოცნეს ერთმანეთი. ავთანდილმა უამბო, ჩვენ ძმას ტარიელს ასე მოსვლია და დახმარება ესაჭიროებაო. სპირიდონმა უთხრა: რა კი ეგრეა, მე ჩემ თავს როგორ დავზოგავო. შესხდნენ სამთავენი ცხენებზე და წავიდნენ. იარეს და მივიდნენ იქ, სადაც ქაჯეთის ხენმწიფეს ჰქონდა გამართული ხელსაფქვავი წისქვილი. ავთანდილმა უთხრა, უნდა ეს ხელსაფქვავები დავამტვრიოთ თუ არა წისქვილიდან თილისმით ჯარი გამოჰყავთო. დაკრეს პლანი — ციხის ასაღებად. ტარიელმა თქვა: მე შუაზე წავალო. ავთანდილმა უთხრა: მე მარჯვნივ წავალო. სპირიდონმა თქვა: მე მარცხნივ წავალო.

დაამსხვრიეს ხელსაფქვავები და წავიდნენ სამთავენი საომრათ. დაიწყეს ომი. ხოცებენ მტერს, ისე სისხლი აემღვრათ, რომ ტარიელი და ავთანდილი ერთმანეთსაც შეებნენ. მათ შეთანხმება ჰქონდათ, რომ ერთმანეთი არ დაეზიანებიათ და აქ ავთანდილმა ანიშნა ტარიელს, თუ არა ტარიელი გააფუჭამდა ძმას.

ნესტან-დარეჯანი ამ დროს ციხეში იყო და იქ ტარიელმა აასწრო ყველას. ძმები ისევ ჩხუბობდნენ. ტარიელმა რომ ნესტან-დარეჯანი დაინახა, იმ წამს დაბნდა, გული წაუვიდა.

ნესტან-დარეჯანს სიხარულით ყრუალები წამოუვიდა და ტირილი დაიწყო. ამ დროს ავთანდილიც შევიდა ციხეში. ის იყო ტარიელს ქაჯები დასეოდნენ, რომ ავთანდილმა დაატრიალა ხმალი და ქაჯები აკაფა.

ამ დროს სპირიდონიც მოვიდა. მოასულიერეს ტარიელი, მოჰკიდეს ხელი ქალს, ქონებაც ბევრი წამოიღეს და წამოვიდნენ.

ავთანდილმა იფიქრა, ეს ქალი ამდენი ხანია აქ არის, შეიძლება ორსულადაც იყოს, ქაჯები დაიბადებიან და ჩემ ძმას დააზარალებენო. მოდი ასე მოვიქცევი, შევაშინებ ამ ქალს და როგორმე მუცელს წაუხდენო. ტარიელს უთხრა: ძმაო, ჩვენ ხომ ერთად ვიყავით ომში და სისხლის ღვრაშიო. ეხლა ქონებაც და ქალიც უნდა გავიყოთ და ქალი სამმა გავყოთო. ქალს ყველაფერი ეს ესმოდა. მიიყვანეს ნესტან-დარეჯანი, გააკრეს ხეზე, შეუკრეს ხელები თოკებით და ავთანდილმა ხმალი ამოაძრო და გაექანა, ვითომ ქალი უნდა გასჭრას, ამ დროს ქალმა დაიწივლა და პირიდან ბურთივით რაღაც ამოისროლა.

ავთანდილს გაეხარდა, რომ რძალი გაანთავისუფლა და ტარიელს უთხრა: აი, ამიტომ იყო, რომ მე ქალის გაჭრას ვლაპარაკობდიო. ქალი ჩემთვის არასდროს მდომია, შენ მოგახმაროს ქალიც და მთელი ქონებაცაო.

გამოუარეს თავის მამიდას, წამოიყვანეს და ყველა წავიდა თავის სახელმწიფოში.

*მთქმელი* მაქსიმე ქართველიშვილი, *60 წლის. ჩუნჩხა, ახალქალაქის რაიონი.*
*ჩაიწერა* აპ. მახარაძემ
*შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი. ფაა13020*

# ქართული ტიტულატურა ტაო-კლარჯეთის სამეფოს მმართველ ბაგრატიონთა დინასტიაში

**მიხეილ ბახტაძე**

ტაო-კლარჯეთის სამეფოს მმართველი დინასტიის, ბაგრატიონების წარმომადგენლები ატარებდნენ როგორც ქართულ, ასევე ბიზანტიურ ტიტულებს. ბიზანტიური ტიტულების ბოძება ბიზანტიის იმპერატორის პრეროგატივა იყო. ის ამ ტიტულებს, თავისი შეხედულებისამებრ, ანიჭებდა. *„საკარისკაცო პატივის გაცემა ის კონკრეტული საშუალება იყო, რომელიც გარკვეულ ურთიერთობას ამყარებდა კეისარსა და ბაგრატიონ მფლობელებს შორის.“*

ქართული ტიტულატურა ბიზანტიურის პარალელურად და მისგან დამოუკიდებლად არსებობდა. ბიზანტიის იმპერატორს ქართული ტიტულების ბოძებასთან კავშირი არ ჰქონდა და, სავარაუდოდ, იმპერია ქართულ ტიტულებს არც ცნობდა.

ბაგრატიონთა საგვარეულოში დაფიქსირებულია შემდეგი ქართული ტიტულები: მეფეთ-მეფე (ჩნდება ყველაზე გვიან X საუკუნის ბოლო მეოთხედში), მეფე, ქართველთა მეფე, ერისთავთერისთავი, ერისთავი და მამფალი.

მეფეთ-მეფის საკითხს ბოლოს შევეხებით, განხილვას კი მეფის ტიტულით დავიწყებთ. პირველად პ.ინგოროყვამ გამოთქვა მოსაზრება, რომ აშოტ ბაგრატიონმა აღადგინა მეფობა. *„809-813 წლებში აშოტმა აღადგინა „მეფობაჲ ქართლისაჲ“.* მეცნიერი ეყრდნობოდა გიორგი მერჩულეს თხზულებას და ოპიზის საოსტიგნეს წარწერას. გიორგი მერჩულე აშოტ ბაგრატიონს ძირითადად კურაპალატობით მოიხსენიებს, თუმცა რამდენჯერმე იყენებს ტერმინებს „ხელმწიფე“ და „მეფე“.

რაც შეეხება „ხელმწიფეს“, ცხადია, აქ რაიმე კონკრეტული ტიტულის ძებნა ზედმეტია. „და მათ ჟამთა მფლობელი იყო ამათ ქვეყანათა ღმრთისმსახური ხელმწიფეჲ დიდი ბაგრატუნიანი – აშოტ კურაპალატი, კეთილად მორწმუნეჲ, რომლისა გამო დაემტკიცა ქართველთა ზედა მთავრობაჲ მისი და შვილთა მისთაჲ ვიდრე უკუნისამდე ჟამთა. და ხელმწიფისა მის წინაშე და შვილთა მისთა, დიდებულთა მათ ხელმწიფეთა, წინაშე შეუსწავლელ იყო წმიდაჲ გრიგოლ“; *„და ვითარცა მოიწინეს ტაოს, ესმა მუნ მყოფთაგან კაცთა, ვითარმედ აშოტ კურაპალატი მოიკლა და მის წილ ხელმწიფებენ ძენი მისნი. მაშინ ტკივილისა ცრემლითა აღივსნეს ღმრთისმსახურისა მის ხელმწიფისა დაცემისათვის და ტირილითა სავსენი ულოცვიდეს მიცვალებულსა მას მეფესა. ხოლო ნეტარი გრიგოლ ჰმადლობდა ღმერთსა და გლოით იტყოდა: - ჰოჲ, მეფეო ჩემო ძლიერო და დიდებულო, სიმტკიცეო ეკლესიათაო და ზღუდეო ქრისტეანეთაო, სადაჲთ-მე მოგელოდი, აღმოსავალით-მე ანუ დასავალით, ჩრდილოჲთ-მე ანუ სამხრით? რამეთუ ყოველთა ზედა ნათესავთა მფლობელი იყავ, რომელიცა წყობით ხელმწიფეთა დაიმორჩილებდი, საკვირველი ეგე დიდებული, ღმრთისმსახური ხელმწიფეჲ.“* ყველა ზემოთ მოტანილ შემთხვევაში „ხელმწიფე“ არის ზოგადი ტერმინი.

გიორგი მერჩულე აშოტ ბაგრატიონთან მიმართებაში ოთხჯერ იყენებს ტერმინ „მეფეს“.*„და ვითარცა მოიწინეს ტაოს, ესმა მუნ მყოფთაგან კაცთა, ვითარმედ აშოტ კურაპალატი მოიკლა და მის წილ ხელმწიფებენ ძენი მისნი. მაშინ ტკივილისა ცრემლითა აღივსნეს ღმრთისმსახურისა მის ხელმწიფისა დაცემისათვის და ტირილითა სავსენი ულოცვიდეს მიცვალებულსა მას მეფესა. ხოლო ნეტარი გრიგოლ ჰმადლობდა ღმერთსა და გლოით იტყოდა: - ჰოჲ, მეფეო ჩემო ძლიერო და დიდებულო, სიმტკიცეო ეკლესიათაო და ზღუდეო ქრისტეანეთაო, სადაჲთ-მე მოგელოდი, აღმოსავალით-მე ანუ დასავალით, ჩრდილოჲთ-მე ანუ სამხრით? რამეთუ ყოველთა ზედა ნათესავთა მფლობელი იყავ, რომელიცა წყობით ხელმწიფეთა დაიმორჩილებდი, საკვირველი ეგე დიდებული, ღმრთისმსახური ხელმწიფეჲ“; „აღდგა და მიეგება წინა გაბრიელ, აზნაური მეფისაჲ“; „ამისა შემდგომად ღმრთისმსახურსა მეფეისა აშოტ კურაპალატსა აუწყა გაბრიელ ერისმთავარმან სანატრელისა მამისა გრიგოლის ღირსებაი“.*

ძალიან საინტერესოა ოპიზის საოსტიგნეს წარწერა - *„ქესემ / ეატმნ / დწელს / აგვა“.* პ. ინგოროყვა წარწერას შემდეგნაირად კითხულობს: *„ესე მე აშოტმან ოთხ წელსა გავაშჱნე“.* ქართველი მეცნიერების უმეტესობა არ ეთანხმება ამგვარ წაკითხვას და მას საეჭვოდ მიიჩნევს. ნ. შოშიაშვილის აზრით, წარწერა შემდეგი სახით იკითხება: *„ესე მე აშოტმან დ წელსა გავასრულე“.* გარდა ამისა, მეცნიერის აზრით, წარწერა X საუკუნისაა და, ცხადია, არ ეკუთვნის აშოტ კურაპალატს. ჩვენ ვეთანხმებით იმ მკვლევარებს (ნ.მარი, პ.ინგოროყვა, ექ.თაყაიშვილი, პ.ინგოროყვა), რომლებიც წარწერას აშოტ ბაგრატიონს უკავშირებენ. რაც შეეხება წარწერის გაშიფრვას, დანამდვილებით რაიმეს მტკიცება ძნელია. სავსებით დასაშვებია ტერმინ – მეფის ამოკითხვაც (შესაძლოა ასეც წავიკითხოთ: ესე მ[ეფ]ე ა[შო]ტმ[ა]ნ დ წელსა გ[ა]ვა[სრულე]).

ზემოთ მოტანილ წყაროებს შეიძლება დავუმატოთ „მატიანე ქართლისაჲში“ დაცული ერთი ცნობაც: *„შემდგომად სიკუდილისა ადარნასესისა განადიდა უფალმან მეფობა აშოტ კურაპალატისა: ხოლო ეუფლა ქართლს და საზღვართა მისთა“.* მართალია მატიანეს ამ ფრაგმენტში აშოტი პირდაპირ მეფედ მოხსენიებული არ არის და „მეფობა“, შესაძლოა, ზოგად ფრაზად განვიხილოთ, თუმცა, სურვილის შემთხვევაში, ეს ცნობა აშოტის მეფობის დამადასტურებელ არაპირდაპირ მინიშნებათაც შეგვიძლია მივიჩნიოთ.

უკანასკნელ ხანს აშოტ კურაპალატის მეფობის საკითხს ლ.თავაძე შეეხო თავის დისერტაციაში. მკვლევარი წერს: *„აშოტი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც მეფედ იწოდა ერისმთავართა შორის... ის, რომ აშოტ კურაპალატი მეფედ იწოდება, ამას რიგი ქართული წყაროები უდავოდ ადასტურებენ. რეალურად აშოტი მესხეთსა და შიდა ქართლში მეფობს, ხოლო ოფიციალურად კი მისი „მეფობა“ ქართლის მეფობას უნდა გულისხმობდეს“.* ამასთანავე, ლ.თავაძე ერთადერთ წყაროს იმოწმებს. ეს არის ჩვენს მიერ „მატიანე ქართლისაჲდან“ მოტანილი ცნობა –*„შემდგომად სიკუდილისა ადარნასესისა განადიდა უფალმან მეფობა აშოტ კურაპალატისა: ხოლო ეუფლა ქართლს და საზღვართა მისთა“.*

მოსაზრება აშოტ ბაგრატიონის მეფობის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაკლებად არის გაზიარებული.

ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებთან მიმართებაში ტერმინ „მეფეზე“ საუბრისას აუცილებლად გასათვალისწინებელია თავის დროზე მ.ლორთქიფანიძის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ „ზოგადად „მეფე“ და კონკრეტულად „ქართველთა მეფე“ ერთი და იგივე არ არის. *„მეფე“, „ხელმწიფე“ შეიძლება, საერთოდ, ხელისუფლების აღმნიშვნელ ტერმინად ეხმარათ, მაგრამ „ქართველთა მეფე“ უკვე გარკვეულ შინაარსს გამოხატავს“.*

საკითხის გადაწყვეტისას ბევრი რამ წყაროებში დაცული ცნობების ინტერპრეტაციაზეა დამოკიდებული. გადაჭრით რაიმეს მტკიცება ძნელია. ორივე მოსაზრება (იყო მეფე, თუ არ იყო) გარკვეულ არგუმენტებს ემყარება.

ჩვენი აზრით, სადავო არაა, რომ ტერმინი „მეფე“ არსებობს ბაგრატიონთა საგვარეულოში. გადასაწყვეტია ერთი, მაგრამ მნიშვნელოვანი საკითხი: „მეფე“ არის კონკრეტული ტიტული, რომელსაც კონკრეტული პიროვნებები ფლობენ დროის რაღაც მონაკვეთში, თუ „მეფე“ არის ზოგადი ტიტული, რომელიც მიემართება ზოგადად ბაგრატიონ ხელისუფალს? შ.ბადრიძემ წყაროთა მონაცემებზე დაყრდნობით აჩვენა, რომ „მეფედ“ ბაგრატიონთა საგვარეულოს არაერთი წარმომადგენელი იწოდება იმ დროს, როდესაც ის სხვა ტიტულსაც ფლობდა.

ტერმინ „მეფესთან“ დაკავშირებული პრობლემის გადასაწყვეტად ძალიან მნიშვნელოვანია ქვემოთ მოტანილი წყაროების მონაცემების გათვალისწინება: ადიშის სახარების 897 წლის მინაწერი – *„სალოცველად მეფეთა ჩუენთა ღმრთივ დიდებულისა ადარნასე კურაპალატისა და ღმრთით ბოძებულთა ნაშობთა მათთა დავით ერისთავისა და [. . .]“;* ოშკის წარწერები – *„მონაჲ ღმრთისაჲ მეფეი ჩუენი ბაგრატ ერისთავთა ერისთავი ადიდენ ღმერთმან“; „მეფესა ჩუენსა ბაგრატ ერისთავთ ერისთავსა მეოხ ეყავ“.* ოშკის სტელის წარწერა –*„მეფენი ჩუენნი, ადარნერსე კურაპალატი, ბაგრატ ერისთავთერისთავი და დიდებულმცა არს მეფობაი დავითისი“.* 973 წლის პარხლის სახარების მინაწერი – *„სალოცველად მეფეთა ჩეუნთათვის ღმრთივ დიდებულისა ბაგრატ ქართველთა მეფისა, დავით მაგისტროსისა და სუმბატ ერისთავთ-ერისთავისა ...“.* აშკარაა, რომ ზემოთ მოტანილ შემთხვევებში „მეფე“ არის საპატიო ტიტული, რომლითაც მოიხსენიებიან კურაპალატიც (ადარნასე), მაგისტროსიც (დავითი), ქართველთა მეფეც (ბაგრატი), ერისთავთ-ერისთავიც (ბაგრატი, სუმბატი) და ერისთავიც (დავითი).

რა თქმა უნდა, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ აშოტ კურაპალატის დროს ასე არ იყო და ვითარება IX საუკუნის ბოლოს შეიცვალა, როცა ტაო-კლარჯეთში სხვა ქართული ტიტულებიც გაჩნდა. ჩვენი აზრით, ტაო-კლარჯეთის რეალობაში „მეფე“ თავიდანვე იყო ზოგადი, საპატიო ტიტული, რომელიც შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო ნებისმიერი ბაგრატიონის მიმართ.

განსხვავებით „მეფისგან“ „ქართველთა მეფე“ უკვე სრულიად კონკრეტული ტიტული იყო. „ქართველთა მეფის“ ტიტულის შექმნის დროსთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა.

მეცნიერთა უმეტესობა თვლის, რომ „ქართველთა მეფის“ ტიტული პირველად ადარნასე დავითის ძემ მიიღო 888 წელს. ისინი ეყრდნობიან სუმბატ დავითის ძესთან დაცულ ცნობას, რომ 888 წელს გაიმართა ბრძოლა ნასრ გუარამის ძესა და ადარნასე დავითის ძეს შორის. *„შეიპყრეს და მოკლეს ნასრა ჴევსა სამცხისასა, სოფელსა ასპინძას, ქრონიკონსა რ“ე. და არა დაუშთა შვილი ნასრას, და აღიჴოცა საჴსენებელი მისი. ადარნასე, ძე დავით კურაპალატისა, დასუეს ქართველთა მეფედ [ნაცვლად] მის მოკლულისა“.* იგივე სახის ინფორმაცია, თუმცა თარიღის გარეშე, დაცულია „მატიანე ქართლისაჲშიც“ –*„და დასუეს ქართველთა მეფედ ადარნასე, ძე დავით კურაპალატისა“.*

ლ.თავაძის აზრით, „სუმბატთან მითითებული თარიღის გათვალისწინებით, ტიტული „ქართველთა მეფე“ 888 წელს შემოიღეს. ეს, ბუნებრივია, არ ნიშნავს იმას, რომ ქართველთა მეფის ტიტული ჰაერიდან იქნა მოტანილი ან ყველანაირი წინასწარი ნიადაგის შექმნის გარეშე მოხდა ამ ტიტულის დამკვიდრება. ადარნასეს ქართველთა მეფედ კურთხევას უკვე ჰქონდა შემზადებული ნიადაგი აშოტის მიერ მეფის ტიტულის მიღებით ... ადარნასეს მეფედ ხელდასმა, ერთის მხრივ, სომხეთში მომხდარმა აშოტ I-ის მეფედ კურთხევამ განაპირობა (885 წელი), ხოლო, მეორე მხრივ კი, უკვე არსებულმა ტრადიციამ, რომ ადარნასეს მამა (დავით I) და ბაბუა ( ბაგრატ I) გვარის მეთაურები და ტიტულ „მეფის“ მფლობელები იყვნენ.“ აშოტ კურაპალატის შესაძლო მეფობის შესახებ უკვე ვისაუბრეთ. რაც შეეხება ბაგრატ I-სა და დავით I-ს, ჩვენ მათი მეფობაც ნაკლებ სავარაუდოდ მიგვაჩნია.

ადიშის სახარების 897 წლის მინაწერში ადარნასე მხოლოდ კურაპალატობით იხსენიება. ამიტომ ექ.თაყაიშვილმა ივარაუდა, რომ ადარნასემ ქართველთა მეფის ტიტული 897 წლის მერე მიიღო (898 ან 899 წელს).

ეს მოსაზრება გაიზიარა შ.ბადრიძემაც.

ა.აბდალაძის აზრით, შესაძლოა, „ქართველთა საკურაპალატოში“ ადარნასე მეფედ სწორედ 888/89 წლიდან მიეჩნიათ, მაგრამ ოფიციალურად ბიზანტიის კეისარს და მის კვალდაკვალ სომეხთა მეფე სმბატ I-საც *„ქართველთა სამეფოს“ შექმნა-დაფუძნება, ადანასეს მეფობა მხოლოდ მოგვიანებით, დაახლოებით ათი წლის შემდეგ ეცნოთ“.*

თუ ადარნასე ბაგრატიონმა „ქართველთა მეფის“ ტიტული 888 წელს მიიღო, რატომ მოიხსენიება 897 წლის მინაწერში მხოლოდ კურაპალატობით? შესაძლოა იმ დროს კურაპალატობა გაცილებით უფრო დიდი პატივი იყო და ადარნასეც ამიტომაა მოხსენიებული კურაპალატად (თუმცა, ცხადია, ეს ხელს არ შეუშლიდა იმას, რომ ადარნასე მეორე ტიტულითაც, – ქართველთა მეფე, მოეხსენიებიათ). აქ შეიძლება გამოგვადგეს ადარნასეს ძეების: ბაგრატისა და სუმბატის მაგალითები. ბაგრატიონთა მემატიანე ბაგრატს მხოლოდ მაგისტროსობით, ხოლო სუმბატს კურაპალატობით მოიხსენიებს. ამავე დროს, ბაგრატი გიორგი მერჩულეს მიხედვით ერისთავთერისთავიც იყო - *„რომელთა შორის იპოვა ძეჲ დიდისა ადარნერსე კურაპალატისაჲ, ბაგრატ ერისთავთა ერისთავი“.* ხოლო სუმბატს გიორგი მერჩულე 951 წლისთვის ერისთავთერისთავობით მოიხსენიებს – *„დაიწერა ცხოვრებაჲ ესე ... ერისთავთა ერისთვობასა სუმბატისსა, ძისა ადარნერსე მეფისასა“.*

როგორც ვხედავთ, არაა აუცილებელი, რომ პიროვნება ყოველთვის მოხსენიებული ყოფილიყო ყველა იმ ტიტულით რომელსაც ფლობდა.

შევხედოთ საკითხს მეორე პოზიციიდანაც. თუ ადარნასემ „ქართველთა მეფის“ ტიტული 897 წლის მერე მიიღო, მაშინ როგორ გავიგოთ სუმბატ დავითის ძესთან დაცული ცნობა, რომ *„ადარნასე, ძე დავით კურაპალატისა, დასუეს ქართველთა მეფედ [ნაცვლად] მის მოკლულისა„?*

შესაძლოა გვევარაუდა, რომ სუმბატ დავითის ძის მიერ ნათქვამი – „დასუეს“, დროში „განგრძობადი“ მოვლენაა და გულისხმობს, რომ დროის რაღაც მომენტში დასვეს მეფედ და არა უშუალოდ 888 წელს. ასე თვლიდა შ.ბადრიძე, *„ჩვენ შეიძლება დავასკვნათ, რომ სუმბატ დავითის ძეს ... მხედველობაში აქვს მხოლოდ ზოგადი ფაქტი მისი მეფობისა და ამ შემთხვევაში მას არ აინტერესებს აჩვენოს ქართველთა მეფედ გახდომის კონკრეტული თარიღი“*

სუმბატ დავითის ძესთა არის შემთხვევები, როდესაც ზმნა „დასუეს“ გულისხმობს პერიოდს უშუალოდ მომხდარი ამბის შემდგომ.

*1. „დავით ... მოიკლა იგი ჴელითა მამის ძმისწულისათჳსისა ნასრა გუარამის ძისითა, სიცოცხლესა-ვე შინა გუარამისსა, ქრონიკონსა რ“ა ... ნასრ მკლველი ივლტოდა სამეფოსა კოსტანტინეპოლედ და იყო მუნ მრავალ წელ. და ამისსა შემდგომად დასუეს გურგენ ძე ადარნასესი კურაპალატად, დიდისა აშოტ კურაპალატის ძისა“.*

2. *„გარდაიცვალა ესე აშოტ კუხი ქრონიკონსა რ“ლ“ჱ, და არა ესუა შვილი. და ამისსა შემდგომად გურგენ, ძმის-წული მისი, ძე ადარნასესი, დასუეს ერისთავთერისთავად“.*

3. *„და შემდგომად აშოტ კურაპალატისა ძმა მისი დასუეს კურაპალატად, სუმბატ“.*

ბაგრატიონთა მემატიანის თხზულებებში არის შემთხვევებიც, როდესაც „დასუეს“, მომხდარი ამბისაგან გარკვეული დროით დაშორებულ ფაქტს გულისხმობს. თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაში ხდება გარკვეული სახის განმარტების გაკეთება.

1. როდესაც მემატიანე საუბრობს აშოტ კურაპალატის მოკვლის (826 წელი) შემდეგ ტაო-კლარჯეთში შექმნილ ვითარებაზე, აღნიშნავს, *„და იყვნეს ძენი უხუცესისა მის ძმისა მათისა, აშოტის ძისა ადარნასესნი, სამნი: გურგენ, რომელი-იგი დღეთა სიბერისა მისისათა კურაპალატად დასუეს“.* გურგენი კურაპალატი ხდებ 881 წელს. ამ შემთხვევაში „დასუეს“ გამოყენებულია მომავალში მომხდარი მოვლენის აღსანიშნავად, თუმცა მას განმარტავს სიტყვები *„დღეთა სიბერისა მისისათა“.*

2. *„გარდაიცვალა ადარნასე, ქართველთა მეფე, ძე დავით მოკლულისა, ქრონიკონსა რ“მ“გ და დაუტევნა ძენი ოთხნი, დავით რომელი შემდგომად მამისათჳსისა ქართველთა მეფე იქმნა, აშოტ კურაპალატი, და ბაგრატ მაგისტროსი, და სუმბატ, რომელი ძმათა შემდგომად კურაპალატად დასუეს“.* ამ შემთხვევაში „დასუეს“ – განმარტებულია სიტყვებით „ძმათა შემდგომად“.

*3. „ხოლო აშოტ კეკელაჲ, ძე ადარნასესი, გარდაიცვალა ქრონიკონსა პ“ზ, და დაუტევა გურგენ, რომელი შემდგომად კურაპალატად დასუეს“.* აქაც ყველაფერს ხსნის სიტყვა *„შემდგომად“.*

არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ზუსტად ძნელი განსასაზღვრია დროის რა პერიოდი მოიაზრება „დასუეს“ ქვეშ.

*1. „გარდაიცვალა მამფალი დავით, ძე სუმბატ არტანუჯელისა მონაზონობასა შინა, ქრონიკონსა რ“ჲ“გ, თუესა თებერვალსა ოცსა, და დაუტევა ძე თჳსი სუმბატ, რომელი-იგი დასუეს ერისთავთაერისთავად“.*

*2. „და ესე სუმბატ კურაპალატი, ძე ადარნასე ქართველთა მეფისა, გარდაიცვალა ქრონიკონსა რ“ო“ჱ, და დაუტევნა ძენი ორნი: ბაგრატ ერისთავთერისთავი, რომელი ქართველთა მეფედ დასუეს, რეგუენი“.*

როგორც ვხედავთ, ზმნა „დასუესთან“ დაკავშირებით ცალსახაა განმარტების გაკეთება რთული. დიდი მნიშვნელობა აქვს კონტექსტს. ჩვენთვის მნიშვნელოვანი ფრაზა – *„შეიპყრეს და მოკლეს ნასრა ჴევსა სამცხისასა, სოფელსა ასპინძას, ქრონიკონსა რ“ე. და არა დაუშთა შვილი ნასრას, და აღიჴოცა საჴსენებელი მისი. ადარნასე, ძე დავით კურაპალატისა, დასუეს ქართველთა მეფედ [ნაცვლად] მის მოკლულისა“* – თითქოს უფრო იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ადარნასეს გამეფება უშუალოდ ნასრის მოკვლის შემდეგ, ე.ი. 888 წელს ხდება.

*გაგრძელება იქნება*

# მატიანე



შოთაობა. გასული საუკუნის 70-იანი წლები. სოფელი რუსთავი. ფოტო მოგვაწოდა შალვა ტაბატაძემ

## შოთა რუსთაველი და თამარ დედოფალი

შოთა რუსთაველი და თამარ დედოფალი და-ძმანი იყვნენ. ადრე დაობლდნენ და ორთავენი ბიძამ გაზარდა სამადლოთ. როცა გაიზარდნენ, სულ საყდრებს აშენებდნენ, ვიდრე ვარძიას გამოსჭრიდნენ, წამოვიდნენ და ერთ ადგილას, ხერთვისის ახლო, კლდეში დაიწყეს მუშაობა. როცა აკეთებდნენ, დაღამდა და ბინად იქვე დადგნენ. რომ გათენდა, ნახეს, რომ მათი იარაღი იქ აღარ არის. ადგნენ და დაღონდნენ. წამოვიდნენ. აჰყვნენ წყალს და სადაც ახლა ვარძია არის, იქ იშოვნეს კლდის ძირში თავიათი იარაღი. გაუკვირდათ და თქვეს, რომ ჰალბათ, ღმერთს ასე სწადიაო და აქ გავაკეთოთ საყდარიო. დაიწყეს მუშაობა, კლდე ადგილი გამოსაჭრელი გამოდგა. სულ ყველივით სთლიდნენ. ნახევარზე მეტი რომ გამოსჭრეს, ნახეს, რომ იარაღს აკლია. აქეთ ძებნეს, იქით ძებნეს და ბოლოს იშოვნეს ვანი ქვაბთან. ვარძია რომ გამოსჭრეს, დარჩნენ. მერე ვანი ქვაბი გააკეთეს. ვარძია და არის და ვანი ქვაბი ძმაო.

ხერთვისის ახლო კლდეში, ახლაც არის ნავარძიალი, რომელიც თამარ დედოფალმა და შოთა რუსთაველმა გამოსჭრეს. შოთა რუსთაველი მერე ძალიან ჭკვიანი კაცი იყო. იმან ბევრი წიგნები დასწერა და თქვენ რომ ამობთ, ის წიგნიც „ვეფხვის-ტყაოსანი“ თუ რაღაც, ისიც იმ თამარ დედოფლის ძმას შოთა რუსთაველს დაუწერია. ასე გამიგონია საროში ჩემი პაპიდანო.

***ნაამბობი 1938 წელს სოფელ ბარალეთში 60 წლის გლეხის ქალ ევა მურჯიკნელის მიერ, გამოთხოვილია სოფ. საროდან (უსინათლო).***

***შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის ლიტერატურის ინსტიტუტი. ფაა 13528***

## თქმულება თამარ დედოფალზე

ერთხელ, ჩვეულებისამებრ, თამარ დედოფალი გორში ბრძანებულა და რაღაც შემთხვევის გამო გაჰფრენია საყვარელი ქორი. იმ გორაზე მჯდარა ეს ქორი, სადაც ეხლა გორიჯვრის ეკლესია არის აშენებული.

იმ დროს მტკვარი ადიდებული ყოფილა ისე, რომ გასვლა არავის შესძლებია, რომ ქორი გამოეყვანათ და ამისთვის თამარს უბრძანებია:

– ვინც ჩემ ქორს გამომგვრის, რასაც მთხოვს, იმას მივცემ.

ერთი ყმაწვილი კაცი წამომდგარა და მოუხსენებია დედოფლისთვის: „მე ვარ თქვენი ბრძანების ამსრულებელიო“ და კიდეც შეცურებულა მტკვარში.

მაგრამ ამ დროს თამარს აზრათ მოსვლია: რასაც მთხოვ, იმას მოგცემო, რო ვუთხარი, ვაი თუ ისეთი რამ მთხოვოს ამ კაცმაო, რომლის მიცემაც არ შეიძლებაო. პირჯვარი გადაიწერა თურმე დედოფალმა და თქვა: – ღმერთო, თუ ეს განზრახვა ჰქონდეს იმ ყმაწვილ კაცს, ცოცხალს ნუ გაიყვან. მართლაც და ამ სიტყვისთანავე დარჩა თურმე მტკვარში ის კაცი. ამის მნახველმა თამარმა ძრიელ მოიწყინაო, რომ მისი სიტყვით ის კაცი დაიხრჩოვო. მაშინვე შეგზავნა მცურავი კაცები, რომ გამოეყვანათ ის დამხვრჩალი კაცი. ცურავებმა დამხვრჩალის გამოტანა გამოლმა ვერ შეძლესო და გაღმა გაიტანესო, თან ქორიც გამოგვარეს და მოახსენეს დედოფალსაო: – დამხვრჩალი კაცისას რას გვიბრძანებთო?

დედოფალმა უბრძანა: – გადით, ის კაცი იქ დამარხეთ, სადაც ქორი იყო და ჯვარი დაადგით, რომ იმ ადგილს მივაგნოთო; მე მსურს, ზედ ეკლესია დავადგა და თქვენც იცოდეთ, ამ ეკლესიას „ქორის ჯვარი“ ერქმევაო. მართლაც, ერთი კვირის შემდეგ, იქ ეკლესია ააგო, რომელსაც ახლა „გორის ჯვარს“ ეძახიანო.[1]

***მთქმელი შოთა ივანიძე, 73 წლის. ს.ჭობარეთი, ჩაწერილია 1995 წელს მაია ივანიძის მიერ***

[1] ამ თქმულებას მრავალი ვარიანტი მოეპოვება, რომელთა შორის განსხვავება მცირედია. ზოგან ქორისა და შევარდნის ნაცვლად თამარის საყვარელ ფრინველად გამოყვანილია მიმინო.

## შოთაზე თქმულება

ერთხელ შოთა რუსთაველი, თურმე, ცხენით მოდიოდა. უნდა ამოსულიყო ვარძიაში, რომ ჯარს წაჰყოლოდა. რომ გამოიარა ასპინძა, ვიღაც ქალი, მოხუცებული დახვედრია. უთქვია, ვარძიის გზას თუ მასწავლიო. ასწავლა ამ მოხუცმა ქალმა ვარძიის გზა. ავიდა თუ არა საროში, მიადგა საროს ბაღებს. საროს ბაღს მცველები ჰყავდა. ერთს მათე ერქვა, მეორეს – ბაგრატი. ამათ უთხრეს, რომ პური ჭამე, დანაყრდი და ისე გაემგზავრეო. დანაყრდა შოთა, გატეხა ქართული პური და გაიხსენა ღმერთი: ღმერთო, ამრავლე ასეთი პური ჩვენს ქვეყანაშიო. შეჯდა ცხენზე და წამოვიდა ვარძიისკენ. ბაგრატმა ლექსი მიაძახა:

„შოთა თეთრ ცხენზე ზისო,
უკან ნიავი ჰქრისო,
უხდება თეთრი ნაბადი,
მთის კალთას უფრო უდრისო“.

როცა ავიდა შოთა რუსთაველი ვარძიაში, საღამო იყო. მივიდა თუ არა, მაშინვე მცველები მივიდნენ და ჰკითხეს, ვინ იყო. შოთას პარიკი ჰქონდა სახეზე გაკეთებული, რომ არ ეცნოთ. შოთამ თავისი ვინაობა არ გაამჟღავნა.

– შენ გავხარ შოთას, გიცანიო, – უთხრა მცველმა.

– შენ საიდან იცნობ, შოთასო, – შეეკითხა თითონ შოთა.

მცველმა უპასუხა, რომ მე შოთას სახლთხუცესი ვიყავიო. შოთამ ჰკითხა, თუ თამარ მეფემ ჯარი სად წაიყვანაო. მცველმა უპასუხა: იქნება ნახევარი საათი, რომ ახალქალაქისკენ წავიდნენ, გადაივლიან აბულის მთებს და თბილისისკენ წავლენო. შოთა მოტყუვდა, რადგან თამარ მეფის ჯარი ისე კი არ წავა, არამედ კოდიანზე გადავლით.

შოთას რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ცხენს მიერეკებოდა, რომ როგორმე დასწეოდა ჯარს, მაგრამ, რომ ნახა, მოატყუეს, ისევ დაბრუნდა ვარძიაში. მოიხადა პარიკი და მცველებს უთხრა: მე შოთა ვარო. ეხლა კი უთხრეს სიმართლე, საით წავიდა ჯარი. შოთა ჯარს ცხენით ბორჯომში დაეწია.

***მთქმელი მარო ერასტის ასული ბერიძე, 16 წლის, ასპინძა. ჩაიწერა ვ.კოჭლავაშვილმა 1965 წელს***

***თსუ ფა 3949***

## ვანო ჩხიკვაძე

### პირველი სექტემბერი

ხომ გითხარი, კიდევ ერთი
სექტემბერი მოვა-თქო,
იქნებ შვიდის რომ შევსრულდე,
ერთი ნოლი მომაკლო.

არც ასაკის სიბრძნე მინდა,
არც სიბერის კელია,
მხოლოდ ნოლი მომაცილე,
შენთვის არაფერია.
დამიბრუნე, გამაბრუე
„აი იას“ სურნელით,
„დედაენის“ თავფურცელზე მერცხლები
რომ მღერიან.

ღმერთო, როგორ მომენატრა –
იქ მინდა და აქ არა –
თმაზე თითებგადასმული
მასწავლებლის ჭაღარა.

მერხებიდან აფრენილი
ბაფთიანი პეპლების
წმინდა სიყვარულის ალზე კიდევ
დავიფერფლები.

ასე როგორ გამიმეტე,
კუთხეში რომ მაყენებ,
ბედნიერი წარსულისკენ ერთხელ
არ გამახედე.

თუმცა წლებმა ჩაიარეს,
ჩაქრნენ, ჩაიგრიალეს,
იმ ზარების მაინც მესმის
შორეული წკრიალი.

დალოცვილო, ბევრს ხომ არ გთხოვ,
როგორც მაშინ მღეროდა,
იისფერი მელანი და
„ჭლექიანი პერო და“.
ის დღეები დამიბრუნე,
ტყუილიც რომ მჯეროდა,
ანბანი რომ მოწვეთავდა
სალამურის ღეროდან.

სიზმრად მაინც მაჩვენე და
იმ შარბათით დამათვრე,
ყველაფერი წამართვი და
ამ ნოლს რატომ არ მართმევ.

რომ ვთქვა, საოცრება ხდება –
ხომ მომასწარ იმ დილას,
უკვე შვიდი წლისა ვარ და
დღეს სკოლაში მივდივარ.

ნეტავი რას გიშავებდა –
ბიჭო, სესე, დღეს გოდებ –
ქვები მერცხალს კი არა
და საქართველოს ესროლე.

„დედაენა“ თუ წაგვართვეს,
სად მოძებნი სხვა ბუდეს,
ან უძღები შვილი უკან,
როგორ უნდა დაბრუნდე.

სკოლა – მშობლიური კერა,
ღამეა თუ დღე არის,
იმ ზარების მაინც მიხმობს
შორეული წკრიალით.

ვიცი, მონომახის ქუდი
ჩემს მხრებსაც დაამძიმებს,
მაინც არ დავიჩოქები,
თვალს თუ არ მომაცილებ.

საქართველო შემომყურებს –
ერთი ნოლით დიდი ვარ,
პირველი სექტემბერია,
დღეს სკოლაში მივდივარ!

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი ავთანდილ ბერიძე
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო: დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. "საარის" სტამბაში. მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57. ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit.meskheti@gmail.com
lit–meskheti@yahoo.com